

არიელ შარონის ვაჟს კორუფციაში ადანაშაულებენ A3



„ფერარი" და შუმი „მონცაზე" ვალის გადასახდელად ემზადებიან A6



ვინ არის დამნაშავე?! A8


www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | ორშაბათი, 29 აგვისტო, 2005 წელი. №193 (1053) | ფასი 50 თეთრი


# ბექაურის საქმიანობაზე მოკვლევა დღის წესრიგში არ დგას

### კობა ბექაური კი აცხადებს, რომ მედიაში კორუფციის აღმოფხვრის სურვილი ამოძრავებდა(?!)

სოფიკო ჩხაიძე

*"202"-ის ერთ-ერთ დამფუძნებელსა და წამყვანს შალვა რამიშვილს ფულის გამოძალვასა და შანტაჟის მოწყობაში წაუყენეს ბრალი. დანაშაული, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსის 181-ე მუხლის მე-2 ნაწილითაა კვალიფიცირებული, 6 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. სავარაუდოდ, დღეს სამართალდამცველი ორგანოები შალვა რამიშვილისთვის აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების მოთხოვნით სასამართლოს მიმართავენ. სხვა საკითხია, რა ბედი ელის ამ საქმის მეორე მთავარ გმირს, საქართველოს პარლამენტის წევრს კობა ბექაურს, რომლის წინააღმდეგ ჟურნალისტების მიერ შეგროვებული მასალების დაბლოკვა შალვა რამიშვილმა საკმაოდ შთამბეჭდავ თანხად - 100 ათას დოლარად შეაფასა.*

გაგრძელება A3 გვერდზე



*"ეს პროვოკაციაა!" - რამდენჯერმე გაიმეორა შალვა რამიშვილმა.*

## მაგრამ, ბექაური?!

ეკა ქვესიტაძე

შოკისმომგვრელი - ეს არის ის ყველაზე ადეკვატური შეფასება, რაც ორი დღის წინ მომხდარმა ფაქტმა დაიმსახურა. ოპერატიულ მასალაში, რომელსაც შაბათს ყველა სატელევიზიო არხი მთელი დღის განმავლობაში ატრიალებდა, ნათლად ჩანდა, როგორ იღებდა ცნობილი ჟურნალისტი შალვა რამიშვილი ფულს ერთ-ერთი ყველაზე ცუდი რეპუტაციის მქონე დეპუტატისაგან. კომენტარები, რომ ეს პროვოკაცია, შეთითხნილი ბრალდებაა და ასე შემდეგ, ოპოზიციის გარდა თითქმის არავის გაუკეთებია, რადგან ტელევიზიით ნაჩვენები კადრებით მოცემული ფაქტი იმდენად ჯიუტი იყო, რომ მისი უარყოფა შალვა რამიშვილის ყველაზე დიდ გულშემატკივრებსაც კი გაგვიჭირდა.

პირადად ჩემში ამ ფაქტმა ურთიერთსაწინააღმდეგო ემოციები გამოიწვია. შალვა ჩემი მეგობარია და მას, რაც მთავარია, ჩემს თანამოაზრედ ვთვლიდი. მასონური თეორიებით შეპყრობილი, არცთუ ისე პროგრესულად მოაზროვნე ქართული ჟურნალისტური კორპუსის ფონზე მისი ჯანსაღი სარკაზმი დასაფასებელი ნამდვილად იყო. ბოლო პერიოდში მისი თოკ-შოუები ოპოზიციური აზრის გახმოვანდებადაც იქცა. შესაძლოა, ხელისუფლებას ნამდვილად უნდოდა, რომ რამიშვილის გადაცემა ეთერში აღარ ყოფილიყო და რომ არა ყველაფრისმთქმელი ფარული ჩანაწერი, უკლებლივ ყველას გაგვიჩნდებოდა საშინელი პროტესტის გრძნობა და ეჭვიც არ შეგვეპარებოდა იმაში, რომ ეს იყო პოლიტიკური დევნა ჟურნალისტის წინააღმდეგ.

იმ დღესვე შინაგან საქმეთა მინისტრმა მოკლე ბრიფინგი მიუძღვნა ცნობილი ჟურნალისტის დაჭერას და პირადი სინანულიც გამოთქვა. ნამდვილად არ ვიცი, რამდენად გულწრფელი იყო ვანო მერაბიშვილი, როდესაც საკუთარ ემოციებზე, საზოგადოებაში ნიჰილიზმის აღმოფხვრასა და მედიის მიმართ ნდობის დაბრუნების აუცილებლობაზე საუბრობდა, მაგრამ მინისტრის ნათქვამში იყო ერთი სიმართლე - მედიის კორუმპირებულობის შესახებ.

გაგრძელება A2 გვერდზე

## აფხაზურ ოპოზიციას რკინიგზა არ სურს

ზურაბ აფხაზავა
სოხუმიდან

აფხაზეთის ხელისუფლების მისამართით სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენასთან დაკავშირებული მოლაპარაკებათა პროცესის გამო ოპოზიცია მწვავე კრიტიკას გამოთქვამს. ის უკმაყოფილოა არა იმდენად თავად პროექტით, რამდენადაც მოლაპარაკებათა პროცესით. იქიდან გამომდინარე, რომ ამ პროექტით ძალიან დაინტერესებულია მოსკოვი, აფხაზი ოპოზიციონერები მიიჩნევენ - აფხაზეთის დიპლომატია არ ცდილობს, ამ საქმიდან "მაქსიმალური სარგებელი ნახოს". ოპოზიციის მიერ მიწოდებული რჩევები მოლაპარაკებათა პროცესში მონაწილეებმა არ გაითვალისწინეს.

კერძოდ კი, ოპოზიცია აფხაზ დიპლომატებს ურჩევდა, საზღვაო ბლოკადის ყველა მცდელობის აღკვეთა და საჰაერო მიმოსვლის აღდგენა მოეთხოვათ. მოლაპარაკებათა პროცესის მონაწილეები კერძო საუბრებში აცხადებენ, რომ ამის მიღწევა ძალიან ძნელია, რადგან აფხაზური მხარის მსგავსად, ამ პროექტის რეალიზაციით არც ქართული მხარეა დიდად მოწადინებული და, როგორც ჩანს, მას სიცოცხლისუნარიანად არ მიიჩნევს.

პოზიციას - "ჩვენ არ ვართ პროექტის წინააღმდეგი, ჩვენ მხოლოდ მოლაპარაკებათა პროცესი არ მოგვწონს" - ოპოზიციური მოძრაობა "სახალხო ერთობის ფორუმი" მხოლოდ ოფიციალურად აფიქსირებს. კერძო საუბრებში გავლენიანი ოპოზიციური ფიგურები აღნიშნავენ, რომ სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის წინააღმდეგნი არიან. ისინი აღნიშნავენ, რომ, ერთი მხრივ, ამ პროექტმა, შესაძლოა, რეგიონში სტაბილურობას შეუწყოს ხელი. მეორე მხრივ კი, ოპოზიციონერები ეჭვობენ, რომ საქართველოსა და აფხაზეთს შორის პოლიტიკური ურთიერთობების გაურკვევლობის პირობებში, ამ პროექტის ამუშავების შემთხვევაში საქართველოს მიერ აფხაზეთის ეკონომიკური ექსპანსია გარდაუვალია.

გაგრძელება A2 გვერდზე

# „მზიური" განწირულია

### პარკს მეწყერი ან მშენებლობები შეიწირავს

თამარ დვალი

*1978 წლის შემდეგ "მზიურის" საზღვრების დადგენა არ მომხდარა. მაშინდელი დოკუმენტაციით, "მზიურის" ტერიტორია, დაწყებული გმირთა მოედნიდან, ბეთანიამდე გრძელდებოდა. გასულ წელს მერიის ქალაქგეგმარებისა და სივრცითი მოწყობის საქალაქო სამსახურმა შეადგინა რუკა, რომელიც "მზიურის" ახალი საზღვრების დადგენას ისახავდა მიზნად. აღნიშნული დოკუმენტი ქალაქის მთავრობამ არ დაამტკიცა. დღევანდელი მონაცემებით, "მზიურის" ტერიტორიის უმეტესი ნაწილი კერძო საკუთრებაშია გადასული. როგორც არქიტექტურულ წრეებში ამბობენ, ახლო მომავალში "მზიურის" ტერიტორიაზე დაწყებულ გრანდიოზულ მშენებლობებს შესაძლოა, კიდევ ახალი მშენებლობები შეემატოს. ამ საკითხთან დაკავშირებით დედაქალაქის მერი გიგი უგულავა კომენტარს არ აკეთებს. "მზიურის" გენერალური გეგმის საავტორო ჯგუფის ხელმძღვანელი ირაკლი მასხარაშვილი ვერეს ხეობაში შექმნილ სიტუაციას საგანგაშოს უწოდებს და აცხადებს, რომ "მზიურის" ტერიტორიაზე ხელისუფლებამ, პირველ რიგში, საინჟინრო პრობლემები უნდა მოაგვაროს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ტერიტორია შეიძლება დაიმეწყროს.*

გაგრძელება A2 გვერდზე



# "კეტრინი" ლუიზიანას უახლოვდება

ხათუნა გაბიევი

ქარიშხალი "კეტრინი", რომლის კატეგორია, საფირ-სიმპსონის სკალით, 5-ით განისაზღვრება, ყველაზე ძლიერად ითვლება. ქარიშხლის სიჩქარე საათში 185 კმ/სთ-ს აღწევს და იგი ლუიზიანას შტატს უახლოვდება. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ლუიზიანა უბედურების ზონად უკვე გამოაცხადა და მოსახლეობას შედარებით უსაფრთხო რეგიონებში ევაკუაცია ურჩია. ლუიზიანა ზღვის დონიდან 6 ფუტით დაბლა მდებარეობს.

გაგრძელება A3 გვერდზე



*საევაკუაციო სამუშაოები დაიწყო მექსიკის ყურეში.*

## დიდი პრივატიზაცია გრძელდება

### ეკონომიკური განვითარების სამინისტრო შპს "აგროსისტემებს" ყიდის

*ეკონომიკური განვითარების სამინისტროს გასაყიდად კიდევ ორი მსხვილი ობიექტი გამოაქვს. მათ შორის - შპს "აგროსისტემები", რომელიც პურპროდუქტების შესყიდვას, ექსპორტ-იმპორტსა და რეალიზაციას ახორციელებს.*

ეკონომიკური განვითარების სამინისტრო "აგროსისტემების" პრივატიზაციას 2,5 მილიონ დოლარად აპირებს. სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პრივატიზაციის მიზნით განაცხადების მიღება დღეს დაიწყება.

"აგროსისტემები" თბილისში, ირ. აბაშიძის ქ. N10/12-ში მდებარეობს და პურპროდუქტების შესყიდვას, ექსპორტ-იმპორტს, რეალიზაციას ახორციელებს. საწარმო, აგრეთვე, აგენტის ფუნქციებს ასრულებს. მისი საწესდებო კაპიტალი 562 720 ლარია. "აგროსისტემების" ქონებაში შედის თბილისში, ირ.აბაშიძის (ბარნოვის) ქ. N10/12-ში მდებარე საერთო საკუთრების 908 კვ.მ. მიწა და საოფისე წილობრივი ფართი; ქ. თბილისი, სამგორის ქ. N6-ში არსებული 525 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და 174 კვ.მ. შენობა-ნაგებობები; ქ. თბილისი, მოსკოვის გამზ. N15-ში მდებარე 2552 კვ.მ მიწის ნაკვეთი და ელევატორის შენობა-ნაგებობები. ამასთან, "აგროსისტემების" ქონებას მიეკუთნება მარნეულის რაიონის სოფელ იალღუჯაში მდებარე 25,52 ჰა მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები (ელევატორები, საწყობები, ადმინისტრაციული და საწარმოო კორპუსები, კომბინირებული საკვების საამქროები და სხვ), თუმცა ქონების ამ ნაწილის კუთვნილობის კანონიერებასთან დაკავშირებით სასამართლოში დავა მიმდინარეობს.

ორგანიზაციას გააჩნია 1 708 384 ლარის დებიტორული და 22 664 ლარის კრედიტორული დავალიანება. "აგროსისტემების" საწყისი გასაყიდი ფასი კი 2,5 მილიონი დოლარია.

"აგროსისტემების" აუქციონის წესით შეძენის მსურველებმა ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 28 სექტემბრამდე უნდა მიმართონ. მათ წინასწარ, ე.წ. "ბეს" სახით, 250 ათასი დოლარი უნდა გადაიხადონ. ტენდერი კი 29 სექტემბერს გაიმართება. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის მთავარი კრიტერიუმი ქონების შესაძენად მაქსიმალური ფასის - 20 000 დოლარის გადახდა იქნება.

გაგრძელება A2 გვერდზე

## ამბები

### ოსური და ქართული მხარეები პასუხისმგებლობას ერთმანეთს აკისრებენ

11 წლის გენო პეტრიაშვილი, რომლიც 19 აგვისტოს დაუდგენელმა პირებმა ფრონეს ხეობის სოფელ ნულიდან, დაახლოებით, 19 საათზე გაიტაცეს, დღემდე ტყვეობაში რჩება. ბავშვის შესახებ კვლავ არაფერია ცნობილი.

A2

## ამბები

### "თბილისს ჩვენი მეგობრობა თავს არ უნდა მოვახვიოთ"

"ოფიციალურ თბილისს ჩვენი მეგობრობა თავს კი არ უნდა მოვახვიოთ, არამედ რუსეთი და საქართველო თავის ნებით უნდა იყვნენ ერთმანეთის მეგობრები." - აცხადებს სერგეი ლავროვი.

A2

## ამბები

### ერაყის კონსტიტუციის პროექტი, წინააღმდეგობის მიუხედავად, მაინც დამტკიცდა

ასეა თუ ისე, პროექტი ჩავარდნას გადაურჩა და ახლა რეფერენდუმისთვის მისი 5 მილიონ ეგზემპლარად დაბეჭდვაღა რჩება.

A3

## რეგიონი

### ბოლნისის რაიონის გამგებლის ანგარიში საქართველოს პრეზიდენტს და საზოგადოებას



A5

## ამინდი

| | 29/08 | 30/08 |
|---|---|---|
| თბილისი | 36 | 30 |
| ყვარელი | 36 | 31 |
| სოხუმი | 34 | 32 |
| დმანისი | 30 | 27 |
| გორი | 31 | 28 |
| ონი | 27 | 25 |
| ზუგდიდი | 39 | 35 |
| ახმეტა | 35 | 28 |
| გაგრა | 31 | 29 |
| სამტრედია | 38 | 34 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8000 |
| ევრო | 2.1929 |
| ბირთანქა სტერლ. | 3.2270 |
| რუბლი | 0.0630 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| ამბები | A 3 |
| პროექტი | A 4 |
| ამბები | A 5 |
| განცხადებები | A 6 |
| სხვადასხვა | A 7 |
| სხვადასხვა | A 8 |

ეკა კვესიტაძის სვეტი

# მაგრამ, ბექაური?!

პირველი გვერდიდან

დამოუკიდებელი ქართული ჟურნალისტიკის გაჩენის დღიდან მედიის თავისუფლება იმდენად პრიორიტეტული იყო, რომ ყველაფერს ფარავდა - ჟურნალისტების არაპროფესიონალიზმს, არაეთიკურობას და ანგაჟირებულობას. დღემდე თავისუფლებაზე აპელირება ყველაზე ეფექტურ მიმართ იხმარება კორუფციაში გაბეული მედიის დასაცავად.

უკვე წლებია, კულუარებში ყველა ლაპარაკობს, რომელი ჟურნალისტი რა თანხას იღებს შეკვეთილი სტატიის დაწერაში, როგორ გარიგდებიან მედიამესაკუთრეები ამა თუ იმ პოლიტიკურ პარტიასთან თუ ფიგურასთან წინასწარ აგროვებულ საკანდალოს თუ ეფექტურ პიარში. მაგრამ, ყველა ერიდება ამის საჯაროდ თქმას და ამიტომაც არის ასეთი წინააღმდეგობა, როცა საუბარი ტელეკომპანიების მედია-საბჭოზე - ორგანოს შექმნაზეა, რომელიც ქართულ მედიაში არსებულ კორუფციასა და არაპროფესიონალიზმზე ისაუბრებს.

მოუხედავად იმისა, რომ მედიაში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობა ერთ-ერთი ყველაზე გონებამახვილური ჟურნალისტის აღნიშნავს, შინაგან საქმეთა მინისტრის სიტყვები არ უნდა გავიხსენოთ, რის თანახმადაც მედიაში კორუფციის შესახებ მსჯელობა, დავთანხმო, რომ არა ერთი ძალზე მნიშვნელოვანი ფენომენია.

როცა განი შეფასებებში, მედიაში კორუფციასთან ბრძოლის კონტექსტში, თავისუფლება პრესის მიმართ საზოგადოების ნდობის აღდგენის აუცილებლობაზე ლაპარაკობდა, რატომღაც ერთხელაც არ უხსენებია კობა ბექაური და ხელისუფლების მიმართ მოსახლეობის ნდობის შენარჩუნება.

ბექაურის სახელი საქმეკონტექსტში არაერთხელ ყოფილა მოხსენიებული. დღეს ის აცხადებს, რომ მაშინ, როცა შალვა რამიშვილთან ფულით მაშანტაჟებდა, ეროვნული უშიშროების ბეპლისტი იყო. თავისი მეგობრის მიზანი ამოძრავებდა - გათავისუფლებულიყო სიმართლეს მედიასთან და თავისუფლებისა მართულია მომავლის სახელით. თუმცა, შეხვედრის მეორე ფიგურის იმაზე უფრო გამჭირვალე ალმოჩნდა, ვინც ეს მაშინ რამიშვილი ეცნო. პოლიციაში გაკეთებული განცხადებით, "202" დაამუშავა შანტაჟის 100 ათასი გადახდა აიცილა თავიდან, მას შემდეგ რაც შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართა. ერთი შეხედვით, საქმე წარმატებულად დასრულდა.

მაგრამ, საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანია არა ის, თავისთვის რა გაუკეთებია ან რა კორუფციაში ემსგავსება ან ჟურნალისტების კორუფციის მიმართ დასჯის ან კონკრეტული სოფელში ... ის ფილმი, როცა ლადო სტეპ "ჩვენი თვალი", ვინც საშინაო დღეის კორუფციის გამოაშკარავებს, არამედ ის, რომ საზოგადოებისთვის მთავარია, რომ ყველა დაისაჯოს, ვინც კანონს არღვევს და კორუფციის შემთხვევების უმთავრესი მონაწილეა.

# "თბილისს ჩვენი მეგობრობა თავს არ უნდა მოვახვიოთ"

"მოსკოვსკიე ნოვოსტისთვის" მიცემულ ინტერვიუში ფედერაციის საბჭოს სამეცნიერო მინისტრი სერგეი ლავროვი აცხადებს, რომ დსთ-მ არ გაამართლა მოლოდინი და მისი რეფორმირება აუცილებელია. ლავროვის თქმით, პოსტსაბჭოთა სივრცის დასავლეთის დაინტერესება მისაღებია, რადგან ეს სივრცე კონკურენციის ადგილი წარმოადგენს. რაც შეეხება საქართველოსთან ურთიერთობებს, ლავროვმა აღნიშნა, რომ ორმხრივი დეკლარაცია ახლად შექმნილ "დემოკრატიული არჩევანის თანამეგობრობაში", ლავროვი აცხადებს, რომ სახელმწიფოებს მისწრაფება, უზრუნველყონ თავიანთი უსაფრთხოება და გაძლიერდე ეკონომიკური ურთიერთობები, აბსოლუტურად გასაგებია. მისივე თქმით, არავინ ეჭვობს, რომ ცენტრალურ აზია და კავკასია პოსტსაბჭოთა სივრცის მთავარი ნაწილია, რომელიც თანამეგობრობაში მნიშვნელოვან ენიჭება. ამ დენდა, პოსტსაბჭოთა სივრცეში, რუსეთთან კონკურენციის მიზნით, დასავლეთის სახელმწიფოების აქტიურობა გამოიხატება. მინისტრი იმედოვნებს, რომ დსთ არ დაიშლება, რაც შეეხება საქართველოს, ლავროვმა აღნიშნა, რომ დსთ-ის დასამორთავადაც და შეძლება კი უნდა აღდგეს. რაც შეეხება საქართველოს მოთხოვნას რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის შესახებ, ლავროვის თქმით, ეს რუსეთისთვის ხელსაყრელი არ არის, და ეს პრობლემა ტოლერანტულად უნდა გადაწყდეს. მისი თქმით, რუსეთს და საქართველოს შორის გაფორმებული ხელშეკრულებები და რუსეთის ზოგიერთი ტერმინი "ზუსტად" უნდა გავიდეს. "ვფიქრობ, რომ ზოგადად, თბილისს ჩვენი მეგობრობა თავს არ უნდა მოვახვიოთ. ჩვენ ამისთვის მზად ვართ, მაგრამ საქართველოს ხელისუფლებაც მზადყოფნას გამოთქვამს," - აცხადებს სერგეი ლავროვი. **მედიანიუსი**

# ბათუმის სოფლის მეურნეობის სამინისტროში კონკურსი გამოცხადდა

ბათუმის სოფლის მეურნეობის სამინისტროში სხვადასხვა თანამდებობაზე შესარჩევი კონკურსი ფაინალ. 15 ვაკანტური ადგილისთვის 113 კონკურსანტი იბრძოლებს. გამარჯვებულებს სამსახურში და არჩევნებისთვის სექტემბრისთვის დაკომპლექტებული 9-ვაკიანი კომისია 4 სექტემბერს გამოავლენს. პირველ ეტაპზე 22 კონკურსანტი გამოვიდა. კონკურსანტები, სპეციალისტის ცოდნის გარდა, სხვადასხვა სახის ტესტებში გამოცდილებას აჩვენებენ. მოსამზადებლად მათ ერთი თვე ჰქონდათ. **ჯი-ეიჩ-ენი**

# გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA) ქართველი ახალგაზრდების ჯანმრთელობაზე ზრუნავს

**გაეროს მოსახლეობის ფონდმა საზაფხულო ბანაკებში "პატრიოტი" "ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დასამკვიდრებლად" სპეციალური პროგრამის განხორციელება დაიწყო.**

გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA) შეუერთდა საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივას და საზაფხულო ბანაკში "პატრიოტი" დაიწყო პროგრამა **"ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დასამკვიდრებლად"**, რომელსაც "კავკასიის სოციალური მარკეტინგის ასოციაციასთან" პარტნიორობით ახორციელებს.

ამ პროგრამის ფარგლებში ყველა ბანაკში ჩატარდება საინფორმაციო-საგანმანათლებლო ღონისძიებები, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების პროპაგანდის, მავნე ჩვევების (ნარკომანია, თამბაქო, ალკოჰოლი) წინააღმდეგ და შიდსის პრევენციის შესახებ.

პირველი საინფორმაციო-საგანმანათლებლო ღონისძიებები უკვე ჩატარდა, ოქმატური თამაშების და ვიქტორინების აქტიური მონაწილეები კი სამახსოვრო პრიზები მიიღეს; ყველა მონაწილეს დაურიგდა საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალა. ასეთი ღონისძიებები ჩატარდება ოთხივე საზაფხულო ბანაკის ყველა ნაკადში და მოიცავს 8,000-ზე მეტ ახალგაზრდას.

*გაეროსმოსახლეობის ფონდი (UNFPA) არის საერთაშორისო განვითარების სააგენტო, რომელიც ხელს უწყობს ქალთა, მამაკაცთა და ბავშვთა უფლებებს ჯანმრთელობისა და თანაბარი შესაძლებლობებისთვის. გაეროს მოსახლეობის ფონდი საქართველოში 1993 წლიდან უწევს დახმარებას. საქართველოში ფონდის დახმარების ძირითადი სფეროებია რეპროდუქციული ჯანმრთელობა, ოჯახის დაგეგმვა, ქვეყნის განვითარებისთვის საჭირო მონაცემთა შეგროვება და ანალიზი, ახალგაზრდობა, აივ/შიდსის და სგგი-ს პრევენცია.*

დამატებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ, დაუკავშირდეთ:
თამარ ხომასურიძე, ოფისის ხელმძღვანელი
ლელა ბაქრაძე, ეროვნული პროგრამის ოფიცერი
ტელ: (995 32) 25 11 26/28/29/31
ირაკლი ხვედელიძე, დირექტორი
ხათუნა ყუფარაძე, ტრენერი/ტენდერული კონსულტანტი
ტელ: (995 32) 77 31 50

# „მზიური" განწირულია

პირველი გვერდიდან

**"როდესაც ჩვენ "მზიურის" ტერიტორიის რუკის შედგენაზე დავიწყეთ მუშაობა, აღმოჩნდა, რომ მშენებლობების უმეტესობა, რომელიც ვაკე-საბურთალოს საზღვარზე მიმდინარეობდა, შეჭრილი იყო "მზიურის" ტერიტორიაზე. ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, "მზიურის" საზღვრების შეკუმშვა მოხდა, რადგან ჩვენ რეკრეაციულ ზონაში საცხოვრებელ სახლებს ვერ დავტოვებდით. გამოვითხოვეთ გაცემული ტერიტორიების ნუსხა და სწორედ მისი გათვალისწინებით მოხდა საზღვრების დადგენა. "მზიურის" ტერიტორიის დიდი ნაწილი გაყიდულია, თავად "მზიურის" ცენტრში კი სამ ჰექტარამდე მიწაა გასხვისებული. აქედან გამომდინარე, თუკი ჩვენ ამ მესაკუთრეების ინტერესებს გავითვალისწინებდით, მაშინ უნდა გვეთქვა, რომ "მზიური", როგორც რეკრეაციული ზონა, აღარ არსებობს. ის, რაც ჩვენთან მოხდა, მიუღებელია. ჯერ ქაოტურად გაიცა ტერიტორიები და ახლა ფიქრობს ქალაქი, თუ როგორ უნდა მოხდეს ამ ტერიტორიების განაშენიანება. წესით, სანამ ტერიტორების გასხვისება მოხდებოდა, მანამ უნდა განსაზღვრულიყო ფუნქცია, ზონა, მოცულობა და ა.შ. კომუნიკაციებზე აღარ არის საუბარი,"** - განაცხადა თბილისის ურბანული განვითარებისა და სივრცითი მოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსის ყოფილმა მოადგილემ ბექა ქარსიძემ. მისივე თქმით, ურბანულმა სამსახურმა მხოლოდ იმ მესაკუთრეთა ინტერესები გაითვალისწინა, რომელთა ნაკვეთებიც თავდაპირველ საზღვრებს ემიჯნებოდა. ქარსიძის თქმით, მაგალითად, კომპანია "არსს" ოთხი საცხოვრებელი სახლის პროექტი ჰქონდა "მზიურის" ტერიტორიაზე. თუმცა, რადგან ზონირებისას ეს ადგილი საზღვარს შიგნით მოხვდა, "არსს" იქ რაიმეს აშენება აეკრძალა.

მას შემდეგ, რაც "მზიურის" რუკა გამზადდა, დასამტკიცებლად ქალაქის მთავრობას გადაეცა, მაგრამ მისი დამტკიცება დღემდე არ მომხდარა.

არქიტექტურულ წრეებში საუბრობენ იმაზეც, რომ "მზიურის" ტერიტორიის ახალი ზონირების შემდეგ, შესაძლოა "მზიურის" საზღვრები კიდევ უფრო შემცირდეს.

**"სამწუხაროდ, დღეს "მზიურს" აღიქვამენ, როგორც თავისუფალ ტერიტორიას. მენაშენეებს ვერ წარმოუდგენიათ, რომ ქალაქს "მწვანე ფილტვები" ესაჭიროება. ამ ტერიტორიის გასხვისება შევარდნაძის პერიოდში დაიწყო, რისი უფლებაც იმდროინდელ ხელისუფლებას არ ჰქონდა. დღეს რუკას რომ დავხედოთ, მესაკუთრეთა ფორმებითა და რაოდენობით აჭრელებულია. რაც ყველაზე მთავარია, ჩვენ გველის შემოტევა ბინათმშენებლობის გაშლის თვალსაზრისით. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ქალაქის ახალი მერი უკვე გასული იყო "მზიურის" ტერიტორიაზე და რაღაც ახალ პროექტებზეც ისაუბრა. იმედია, მთავრობა უკუუაგდებს ყველა "შემოტევას", რაც ამ ადგილის მიმართ არსებობს. აქ მსხვილმასშტაბიანი საბინაო მშენებლობა დაუშვებელია. ყველა პროექტი, იქნება ეს ბინათმშენებლობა თუ გასართობი კომპლექსი, რომელიც ცენტრალურ ადგილზე უნდა დაიწყოს, ჯერ საზოგადოებრივი მსჯელობის საგნად უნდა იქცეს,"** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრისას ურბანისტთა ასოციაციის თავმჯდომარემ ვლადიმერ ვარდოსანიძემ.

ჩვენი ინფორმაციით, მზიურის ტერიტორიაზე მართლაც იგეგმება გარკვეული პროექტების განხორციელება, თუმცა არც თბილისის მერი გიგი უგულავა და არც თბილისის ურბანული განვითარებისა და სივრცითი მოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსი ნიკოლოზ ჩხაიძე ამაზე კომენტარს არ აკეთებენ. შესაძლოა, ამ ტერიტორიაზე გასართობი კომპლექსი გაშენდეს, რომლის მშენებლობაც შპს "ბაგები 2002"-მა განახორციელოს.

**"კარგია, რომ თბილისის ახალი მერი და ურბანული სამსახურის ახალი ხელმძღვანელობა "მზიურის" საკითხით დაინტერესდა. მათ განსხვავებული მიდგომები აქვთ, ვიდრე ჰქონდა ჭიაბერაშვილს. მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა, საერთოდ, ვერეს ხეობის პრობლემის შესასწავლად. ამისთვის შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელიც სხვადასხვა დარგის სპეციალისტებისგან არის დაკომპლექტებული. მასში შედიან ჰიდროლოგები, გეოლოგები, არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენლები და, მათ შორის, მეც. რაც შეეხება გასართობ კომპლექსს, კონკრეტული პროექტი ჯერ არ გაგვაჩნია. იდეაში ასეთი რამ მართლაც არსებობს. "მზიურის" ტერიტორიაზე მიწა გასულ წელს შევიძინეთ და ზუსტად რას ავაშენებთ, არ ვიცით,"** - განაცხადა შპს "ბაგები 2002"-ის დირექტორმა ჯუმბერ ხატიაშვილმა. მისივე თქმით, მათი კომპანია "მზიურის" ტერიიტორიაზე საცხოვრებელი ფართის აშენებას ნამდვილად არ გეგმავს.

ხატიაშვილი მიიჩნევს, რომ ტერიტორია, რომელიც ვაკე-საბურთალოს გზასა და გმირთა მოედანს შორის მდებარეობს, ანუ მთლიანად ვერეს ხეობა, არის პრობლემატური. რადგანაც დღეს იქ კოლექტორის, მეწყრისა და ნაგავსაყრელის პრობლემა არსებობს, შპს "ბაგები 2002"-ის დირექტორი მიიჩნევს, რომ ამ პრობლემების მოგვარებამდე მშენებლობაზე საუბარი წარმოუდგენელია.

"მზიურის" პრობლემას განსხვავებულ ჭრილში ხედავს "მზიურის" გენერალური გეგმის საავტორო ჯგუფის ხელმძღვანელი ირაკლი მასხარაშვილი. მისი თქმით, დღეს "მზიური" მეწყერსაშიში ზონაა და ხელისუფლებამ მის გადასარჩენად გარკვეული პოლიტიკა დღესვე უნდა შეიმუშაოს.

**"მზიური", პირველ რიგში, საინჟინრო შესწავლასა და მოვლას საჭიროებს. იმ დოკუმენტაციით, რომელიც ჩვენ რამდენიმე წლის წინათ მოვამზადეთ, ხელისუფლება არ ინტერესდება. საზოგადოება მხოლოდ ზონირების საკითხზე ამახვილებს ყურადღებას, "მზიურის" ეკოლოგიურ მდგომარეობაზე კი არავინ საუბრობს. მდინარე ვერეს დაბინძურება მაქსიმუმს აღწევს. ნაწლავის ჩხირის შემცველობა აქ ბევრად აღემატება დასაშვებ ნორმებს. "მზიური" მეწყრული ზონაა და ინჟინრული თვალსაზრისით იქ უმძიმესი მდგომარეობაა. კერძო საკუთრებაში არსებულმა ბაღ-ბოსტნებმა, რომელთა მორწყვაც არ შეიძლება, "მზიურის" დამეწყვრას შეუწყო ხელი. გამოსავალი ერთია, ქალაქმა ახალი ტერიტორიები უნდა შესთავაზოს ამ ხალხს და თავის თავზე აიღოს გამაგრებითი სამუშაოების ჩატარება, რაც დიდ თანხებთანაა დაკავშირებული. მე, როგორც ავტორი, ვაცხადებ, რომ ამ ტერიტორიაზე სერიოზული საინჟინრო სამუშაოები თუ არ ჩატარდა, "მზიური" განწირულია. ან მეწყერი წალეკავს ყველაფერს, ან ნაგავი წაიღებს. ატენის ქუჩაზე მაღალსართულიანი სახლის საკანალიზაციო მილიდან ფეკალური მასები უკვე ხუთი წელიწადია, რაც პირდაპირ "მზიურში" ჩაედინება, თუმცა ამ პრობლემის მოსაგვარებლად მთავრობამ დრო ვერ მონახა,"** - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას "მზიურის" გენერალური გეგმის საავტორო ჯგუფის ხელმძღვანელმა ირაკლი მასხარაშვილმა.



ლევან ხერხეულიძის ფოტო

რაც შეეხება "მზიურის" ტერიტორიაზე გასართობი კომპლექსის აშენებას, მასხარაშვილის აზრით, ისეთი კომპლექსის აშენება, რომელიც დიდ ხმაურს გამოიწვევს, დაუშვებელია, რადგან "მზიურს" ორი საცხოვრებელი უბანი ესაზღვრება. მისივე თქმით, "მზიური" კლასიკური საპარკო ტერიტორიაა და ის ასეთივე სახით უნდა შევინარჩუნოთ. თუმცა, შესაძლებელია პარკისთვის შესაფერისი ნაგებობების გაკეთებაც.

**"60-იან წლებში ვერეს ხეობაზე მიწის დაყრას და საცხოვრებელი სახლების აშენებას გეგმავდნენ. "მზიურის" იდეამ ეს ხეობა ამ ბარბაროსული საქმისგან იხსნა. "მზიურის" საზღვარში იმთავითვე იყო მოქცეული კერძო საცხოვრებელი სახლები. ეს ტერიტორია დაახლოებით 2 300 ჰექტარს აღწევს. მე "მზიურში" რაიმე მშენებლობების კატეგორიული წინააღმდეგი ვარ. მაგრამ, ერთი მხრივ, ეს მეწყრის შესაჩერებლად ერთადერთი გამოსავალია. სახელმწიფომ ბიუჯეტიდან უნდა დახარჯოს ფული და საინჟინრო სამუშაოები ჩაატაროს, მაშინ თავისუფლად შეიძლება საუბარი მშენებლობების აკრძალვაზე. ვაკის პარკის პარალელურად, ბანკ "ქართუს" უკან გაშენებულია ახალი იმერული სოფელი, რომელსაც არქიტექტურულ წრეებში "ხორეშაც" კი შევარქვით. შეიძლება, ბევრმა არ იცის, რომ ეს ტერიტორიაც "მზიურს" ეკუთვნის. ეს არის უნიკალური ხეობა და მისი დანაწევრება არ შეიძლება,"** - აღნიშნა მასხარაშვილმა.

# აფხაზურ ოპოზიციას რკინიგზა არ სურს

პირველი გვერდიდან

უკანასკნელ ხანებში ამ პროექტს აფხაზეთში სხვა მიზეზების გამოც აკრიტიკებენ. პროექტის რეალიზაციის შემთხვევაში, ზემოაღნიშნულ საფრთხეებთან ერთად, აფხაზები საქართველოს მხრიდან სამხედრო საფრთხესაც ხედავენ. ოპოზიცია ხელისუფლებას იმაშიც ადანაშაულებს, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების პრიორიტეტები მკვეთრად განსაზღვრული არ არის. ხელისუფლებას "ბრალად ედება" რუსეთისთვის ასე მნიშვნელოვანი და აფხაზეთისთვის უზარმაზარი საფრთხეების შემცველი პროექტის ლობირება.

საშუალო რგოლის პოლიტიკოსები, ისეთები, როგორიცაა, მაგალითად, იოლანტა ოტირბა, დარწმუნებულნი არიან, რომ გახსნილ გზას საქართველო აფხაზეთზე ტერორისტული თავდასხმების განსახორციელებლად გამოიყენებს. ეს პოლიტიკოსები მიიჩნევენ, რომ ტერაქტებს საქართველო ჭკვიანურად გამოიყენებს და განაცხადებს: აი, ხედავთ, აფხაზეთს სარკინიგზო მაგისტრალის უსაფრთხოების უზრუნველყოფა არ შეუძლია. ამდენად, ამ პოლიტიკოსების აზრით, რუსეთის საამებლად და რუსეთთან მეგობრობის სანაცვლოდ ამ საფრთხეებზე თვალის დახუჭვა დაუშვებელია.

მოლაპარაკებათა პროცესთან დაკავშირებით საჭიროა კიდევ ერთი მომენტის გამოყოფა. პრესასთან საუბრისას, მოლაპარაკებათა პროცესში მონაწილე ორივე მხარის წარმომადგენლები ურთიერთსაწინააღმდეგო კომენტარებს აკეთებენ და მოლაპარაკებათა პროცესის შემდგომ განვითარებას სხვადასხვაგვარად ასახავენ. მაგალითად, ირაკლი ალასანია აცხადებს, რომ ფსოუზე ქართული სასაზღვრო და საბაჟო პუნქტის განლაგება გადაწყვეტილია და ეს საკითხი არ შეიძლება იქცეს მოლაპარაკებების საგნად. აფხაზი პოლიტიკოსები კი სხვაგვარად ფიქრობენ. "ამაზე საუბარიც კი ზედმეტია," - აცხადებენ ისინი. აფხაზ პოლიტიკოსებს კარგად ესმით, რომ ამ საკითხში კომპრომისის ძიებაც კი სახალხო უკმაყოფილებას გამოიწვევს.

ერთი სიტყვით, აფხაზეთის გავლით სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენასთან დაკავშირებული მოლაპარაკებათა პროცესის წარმატებით დასრულება საკმაოდ საეჭვოა. აღმოჩნდა, რომ საქართველოსა და აფხაზეთის პირველი ერთობლივი ეკონომიკური პროექტი და, შესაბამისად, მცდელობა იმისა, რომ სამშვიდობო პროცესი ახალ ფაზაში იქნეს გადაყვანილი, განწირულია.

# დიდი პრივატიზაცია გრძელდება

პირველი გვერდიდან

აღსანიშნავია, რომ შპს "აგროსისტემები" გასულ წლებში ამერიკული ხორბლის შენახვა-რეალიზაციას ემსახურებოდა, რომელსაც აშშ-ს მთავრობა საქართველოსათვის ჰუმანიტარული დახმარების სახით გამოყოფდა.

ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ გასაყიდი მეორე მსხვილი ობიექტია ზაჰესში, სამხედრო გზის გასწვრივ მდებარე მიწის ნაკვეთი და ავარიული შენობა-ნაგებობები, რომელიც ასევე, აუქციონის წესით, 29 სექტემბერს გაიყიდება.

ობიექტის საწყისი გასაყიდი ფასი 7 500 000 დოლარია. მის ქონებას წარმოადგენს 150 000 კვ/მ მიწის ფართი და ავარიული შენობა-ნაგებობები.

ობიექტის ყიდვის მსურველმა, ბეს სახით, 750 000 დოლარი უნდა წარმოადგინოს. განაცხადების მიღება ეკონომიკური განვითარების სამინისტროში 29 აგვისტოდან დაიწყება და 28 სექტემბრის 17 საათამდე გასტანს. თავად აუქციონი კი 29 სექტემბერს შედგება.

გარდა ამ ორი ობიექტისა, ეკონომიკური განვითარების სამინისტრო დღეს კიდევ ერთი ტენდერის გამოცხადებას აპირებს. აუქციონის წესით უნდა გაიყიდოს შს სამინისტროს ბალანსზე რიცხული მექანიკური საამქროს შენობა-ნაგებობები, ხის დამამუშავებელი საამქრო და მასზე დამაგრებული მიწის ფართი, ქ. მცხეთაში, ზაჰესში, სამხედრო გზის გასწვრივ მდებარე მიწის ნაკვეთი და ავარიული შენობა-ნაგებობა, და ქ. თბილისში, ნუცუბიძის ქ. №7-ში მდებარე სტამბა.

შს სამინისტროს ბალანსზე რიცხული მექანიკური საამქროს შენობა-ნაგებობის საწყისი გასაყიდი ფასი 16 000 დოლარია, ხოლო ხის დამამუშავებელი საამქროსი და მასზე დამაგრებული მიწის ფართის პრივატიზაციისას საწყისი გასაყიდი ფასი 32 000 დოლარი იქნება.

ქ. მცხეთაში, ზაჰესში, სამხედრო გზის გასწვრივ მდებარე 150000 კვ. მ მიწის ნაკვეთის და ავარიული შენობა-ნაგებობის პრივატიზაციას სამინისტრო, სულ ცოტა, 7,5 მილიონ დოლარად გეგმავს, რადგან ობიექტის საწყისი გასაყიდი ფასი სწორედ ამდენია.

55 000 დოლარად იგეგმება თბილისში, ნუცუბიძის ქ. №7-ში მდებარე "სტამბის" პრივატიზება.

ობიექტების შეძენის მსურველებმა ეკონომიკური განვითარების სამინისტროში განაცხადები 28 სექტემბრამდე უნდა შეიტანონ. აუქციონი კი 29 სექტემბერს გაიმართება.

პრივატიზაციის პროცესი გრძელდება აჭარაშიც. ბათუმში კიდევ ოთხი ობიექტი იყიდება. ამ ობიექტების აუქციონს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო 30 აგვისტოს, 12 საათზე, ბათუმში მოაწყობს.

აჭარაში გასაყიდი ობიექტებია: ნინოშვილის ქუჩაზე მდებარე პანსიონატი "ბათუმი", რომელიც ზღვისპირა პარკის ტერიტორიაზეა განლაგებული. ობიექტი ცხრა და ხუთსართულიანი საძილე კორპუსებისა და კლუბსასადილოსგან შედგება. მისი საწყისი ფასი 950 ათასი აშშ დოლარია.

იყიდება ბათუმში, ლერმონტოვის ქუჩაზე მდებარე საბილიარდე კომპლექსის ორსართულიანი შენობა თავისი ინვენტარით და მოწყობილობებით, რომლის საწყისი ფასი 250 ათასი დოლარია.

ასევე, ბაგრატიონის ქუჩაზე, N129-ში მდებარე შპს "აჭარგაზმშენის" 100-პროცენტიანი სახელმწიფო წილი.

მეოთხე გასაყიდი ობიექტია ბათუმში, ხულოს ქუჩაზე №6-ში მდებარე №2 აბანო, რომლის საწყისი ფასი 78 875 აშშ დოლარია და ხულოს №10-ში მდებარე №3 აბანო, რომლის საწყისი ფასი 43 431 აშშ დოლარია.

აღნიშნულ ობიექტებზე განაცხადების წარდგენის ვადა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში დღეს, 14 საათზე იწურება.

**24 საათი**

# ოსური და ქართული მხარეები პასუხისმგებლობას ერთმანეთს აკისრებენ

*ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე კვლავ რჩებიან გატაცებული ქართველები, რომელთა ზუსტი რაოდენობა, როგორც ჩანს, უცნობია. ამის თქმის უფლებას გვაძლევს რამდენიმე დღის წინ ოსების ტყვეობიდან გამოპარული გოჩა ჯარმელიშვილის ფაქტი, რომლის გატაცების შესახებ ოფიციალური ინფორმაციაც არ არსებობდა. ქართველი სამართალდამცველების ცნობით კი, ოსების მხრიდან გატაცებულია ოთხი ქართველი მამაკაცი და ერთი მცირეწლოვანი ბავშვი, რომელთა ადგილსამყოფელი დღემდე უცნობია.*

11 წლის გენო პეტრიაშვილი, რომელიც 19 აგვისტოს დაუდგენელმა პირებმა ფრონეს ხეობის სოფელ ნულიდან, დაახლოებით, 19 საათზე გაიტაცეს, დღემდე ტყვეობაში რჩება. ბავშვის შესახებ კვლავ არაფერია ცნობილი. გატაცებულის ოჯახის წევრებს გამტაცებლები ამ ხნის განმავლობაში არ შეხმიანებიან. როგორც გენო პეტრიაშვილის მშობლები აცხადებენ, მათ ყოველდღიურად აიმედებს ოსური მხარე, რომ კონტროლირებად ტერიტორიაზე ყველაფერი კეთდება იმისათვის, რათა ბავშვის ადგილსამყოფელის დადგენა და მისი დაბრუნება მოხერხდეს. თვითმხილველთა თქმით, გატაცება "ნივის" მარკის ავტომანქანით განხორციელდა, რის შემდეგაც გამტაცებლები ცხინვალის რეგიონის კონტროლირებად ტერიტორიაზე მიიმალნენ. გენო პეტრიაშვილის მშობლების აღშფოთებას იწვევს სხვადასხვა საინფორმაციო საშუალების მიერ გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს ბავშვი ნაპოვნია და მშობლებთან ოჯახში იმყოფება. ისინი ამბობენ, რომ მსგავსი ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება.

ამ ხნის განმავლობაში კი ოსური და ქართული მხარეები დანაშაულს კვლავ ერთმანეთს აბრალებენ. ე.წ. სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით, ოსი სამართალდამცველები ქართველ კოლეგებთან ერთად სოფელ ნულიდან გატაცებული 11 წლის გენო პეტრიაშვილის ძებნას განაგრძობენ. აღსანიშნავია, რომ გატაცებული ბავშვის ძებნის გააქტიურების საკითხს მიეძღვნა ოთხმხრივი თათბირი, რომელშიც ქართული და ოსური სამართალდამცავი სტრუქტურების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. თათბირი შერეული სამშვიდობო ძალების გაერთიანებულ შტაბში გაიმართა. მიუხედავად იმისა, რომ ე.წ. სამხრეთ ოსეთის სამართალდამცველები ცდილობენ, ამ და სხვა გატაცებებთან დაკავშირებით პასუხისმგებლობა აიცილონ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო მაინც ავრცელებს ინფორმაციას, რომელშიც გენო პეტრიაშვილის გატაცებაში ოსურ მხარეს და რუს სამშვიდობოებს ადანაშაულებენ. ამის საპასუხოდ, ცხინვალის სეპარატისტულმა ხელისუფლებამ აღნიშნული ბრალდება უარყო იმ არგუმენტით, რომ დანაშაული ქართული მხარის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მოხდა. სეპარატისტების განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ გამტაცებლები ქართულ ენაზე საუბრობდნენ და ბავშვი ქართული ნომრების მქონე ავტომანქანით იმ სოფლისკენ წაიყვანეს, სადაც ქართული მოსახლეობა ჭარბობს.

ერთი სიტყვით, ვიდრე ქართველი და ოსი სამართალდამცველები დანაშაულს ერთმანეთს აბრალებენ, მცირეწლოვანი ბავშვის ტყვეობაში ყოფნის ათი დღე შესრულდა და ამასთან დაკავშირებით პასუხისმგებელი ჯერაც არ გამოჩენილა. **24 საათი**

ორი სიტყვით

**სოხუმი.** აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა სერგეი ბაგაფშმა სოხუმში "აფხაზეთის სოლიდარობის სტამბულის კომიტეტის" ხელმძღვანელები ირფან არლუნი და გიუნდუზ გეჩბა მიიღო. შეხვედრაზე ირფან არლუნმა განაცხადა, რომ თურქეთში მცხოვრები აფხაზი მუჰაჯირების შთამომავლები მზად არიან, თავიანთ აფხაზ ძმებთან ერთად ისტორიულ სამშობლოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებაში დაეხმარონ. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველო დსთ-ს ყაზანის სამიტზე არ შეუერთდა ამ ორგანიზაციის განცხადებას გაეროს 60 წლისთავთან დაკავშირებით. რუსეთში საქართველოს ელჩის ირაკლი ჩუბინიშვილის თქმით, საქართველო გაეროს სრულუფლებიანი წევრია და ამიტომაც, ამ ორგანიზაციის 60 წლისთავთან დაკავშირებით განცხადებას საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო დამოუკიდებლად გააკეთებს. სამაგიეროდ, საქართველო შეუერთდა დსთ-ს ქვეყნების განცხადებას ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ავარიის 20 წლისთავთან დაკავშირებით. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი**. საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი პოლონეთში მიემგზავრება. იგი ქალაქ გდანსკს პოლონეთის ყოფილი პრეზიდენტის ლეხ ვალენსას მიწვევით ესტუმრება და პოლონეთის დემოკრატიული მოძრაობა "სოლიდარობის" დაარსების 25 წლისთავთან დაკავშირებულ საზეიმო ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებს. ამ ღონისძიებას, საქართველოს პრეზიდენტთან ერთად, ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგი ზბიგნევ ბჟეზინსკი, აშშ-ს ყოფილი სახელმწიფო მდივანი მადლენ ოლბრაიტი, უკრაინის პრეზიდენტი ვიქტორ იუშენკო და ჩეხეთის ყოფილი პრეზიდენტი ვაცლავ ჰაველი დაესწრებიან. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი საქართველოს, შესაძლოა, 2005 წლის ბოლომდე ესტუმროს. პრეზიდენტის თანაშემწე სერგეი პრიხოდკო 28 აგვისტოს სოჭში ჟურნალისტებს პუტინის 2005 წლისთვის დაგეგმილ საერთაშორისო დონის შეხვედრებზე ესაუბრა და შეახსენა მათ, რომ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა საქართველოსა და უკრაინის პრეზიდენტებისგან მიპატიჟება მიიღო. **ჯი-ეიჩ-ენი**

■ ■ ■

**თბილისი.** ბელარუსის დედაქალაქ მინსკში დაკავებული ქართველი "კმარელების", გიორგი კანდელაკისა და ლუკა წულაძის საქართველოში ჩამოსვლა გაურკვეველი მიზეზების გამო ფერხდება. "თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომადგენლის თეა თუთბერიძის თქმით, კანდელაკი და წულაძე საქართველოში ორი დღის წინ უნდა ჩამოსულიყვნენ, თუმცა, რატომღაც, ხელისშემშლელი ფაქტორები გამოჩნდა. "ვიმედოვნებთ, რომ ყველა ფორმალური საკითხის მოგვარებისთანავე კანდელაკი და წულაძე საქართველოში მიმდინარე კვირის დასაწყისში დაბრუნდებიან," - განაცხადა თუთბერიძემ. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისა და პრაიმერში მონაწილე ოთხი ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლები "ნდობის მემორანდუმს", სავარაუდოდ, სექტემბრის დასაწყისისთვის გააფორმებენ. ამ მემორანდუმის მიხედვით, ედპ და დანარჩენი ოპოზიციური პარტიები შუალედურ არჩევნებში კოორდინირებულად იმოქმედებენ, ეროვნულ-დემოკრატები კი პრაიმერში დამკვირვებლების სტატუსით ისარგებლებენ. "მე მქონდა პირადი საუბრები რამდენიმე პარტიის ლიდერთან და "ნდობის მემორანდუმის" გაფორმების საკითხი, ალბათ, დადებითად გადაწყდება," - განაცხადა ედპ-ს ლიდერმა ბაჩუკი ქარდავამ. **მედიანიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ლევან ვარშალომიძე ოფიციალური ვიზიტით ავსტრიაში გაემგზავრა. ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია შეხვედრა ტიროლის გუბერნატორთან ქალაქ ლინსბურგში. შეხვედრაზე აჭარასა და ტიროლის მხარეს შორის მომავალი თანამშრომლობის გეგმებს განიხილავენ. ასევე, ხელი მოეწერება მემორანდუმს ტლერემჰაიმის ტურიზმის აკადემიურ სკოლასთან. **ჯი-ეიჩ-ენი**

■ ■ ■

**თბილისი.** კრიმინალური სამყაროს ავტორიტეტი, ე.წ. კანონიერი ქურდი, ბათუმელი, ნასამართლევი, 33 წლის გიორგი ბერიძე, მეტსახელად "ყურშა", და ქობულეთში მცხოვრები, ნასამართლევი, 25 წლის არჩილ რომანაძე ავტომანქანის მოპარვის ბრალდებით ბათუმში დააკავეს. შს სამინისტროს ინფორმაციით, ბერიძემ და რომანაძემ 23 აგვისტოს, ბათუმში, წმინდა ბარბარეს სახელობის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიიდან მოიპარეს მოქალაქე ზაზა კვაჭაძის კუთვნილი ავტომანქანა "ფოლკსვაგენი", რომლის დაბრუნების სანაცვლოდ, მას 1100 აშშ დოლარი გამოსძალეს.

დაკავებული ბერიძისგან სამართალდამცველებმა უნომრო პისტოლეტი "მაკაროვი", ხოლო რომანიძისგან კვაჭაძისთვის გამოძალული თანხა ამოიღეს. **ჯი-ეიჩ-ენი**

■ ■ ■

**ზუგდიდი.** სამეგრელო ზემო-სვანეთის საოლქო პროკურატურამ კონტროლის პალატის ადგილობრივი ბიუჯეტის დეპარტამენტის სამმართველოს უფროსი მერაბ ქვირაია დააკავა. მას ბრალად ედება სახელმწიფოს კუთვნილი თანხის - 30 000 ლარის მითვისება. ეს თანხა, სამართალდამცავთა ინფორმაციით, ქვირაიამ 2002-2003 წლებში მიითვისა, როცა რაიონის საგადასახადო სამსახურს ხელმძღვანელობდა. თავად ქვარაია თავს უდანაშაულოდ მიიჩნევს და აცხადებს, რომ მისი დაკავება პოლიტიკური ანგარიშსწორების შედეგია, რადგან ადრე ის "აღორძინების" წევრი იყო. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** შს სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტმა რუსთავში, ქუთაისსა და თბილისში სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები დააკავა.

გამოძიების ინფორმაციით, რუსთავის სამმართველოს სისხლის სამართლის განყოფილების უფროსი ვაჟა ლონდარიძე და მისი მოადგილე გელა ჩომახიძე მოქალაქეს, გამოძიების დამთავრების სანაცვლოდ, 600 ლარს სძალავდნენ. ქუთაისში კერძო სამსახურის დირექტორისგან 500 ლარის გამოძალვის ფაქტზე განყოფილების უფროსი დავით ბაღრავაძე დააკავეს. თბილისში გლდანი-ნაძალადევის რაიონის მეექვსე განყოფილების თანამშრომელი ლევან ბოხუა ბრალდებულს ყოველ თვე 100 ლარს სძალავდა. **ინტერესნიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფარეშიშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# ბექაურის საქმიანობაზე მოკვლევა დღის წესრიგში არ დგას

## კობა ბექაური კი აცხადებს, რომ მედიაში კორუფციის აღმოფხვრის სურვილი ამოძრავებდა(?!)

პირველი გვერდიდან

კარგად დაგეგმილი სპეცოპერაცია, წინასწარ დანიშნული კუპიურებისგან შემდგარი 30 ათასი დოლარით ხელში დაპატიმრებული ტელეწამყვანი, დამაჯერებელი ოპერატიული ფარული ვიდეოჩანაწერი - ეს ის საშუალებები გახლავთ, რომლითაც ქართველმა სამართალდამცველებმა საზოგადოებაში ოპოზიციონერად აღქმული ტელეწამყვანის დაკავებისთვის პოლიტიკური სარჩულის თავიდან აცილება სცადეს.

შალვა რამიშვილი პარლამენტარ კობა ბექაურს ფულს სძალავდა იმისთვის, რომ "202"-ის ეთერით არ გასულიყო სტუდია "რეპორტიორის" მიერ მომზადებული ფილმი, რომელიც იმავე ბექაურის შესახებ სერიოზულ მაკომპრომეტირებელ მასალებს შეიცავდა - ასეთი გახლავთ შალვა რამიშვილის დაპატიმრების მიზეზის ოფიციალური ვერსია, რომელიც ფარული ოპერატიული ვიდეოჩანაწერით გამყარდა. ამ ვიდეოჩანაწერის თანახმად, კობა ბექაურმა, რომელსაც უკვე ჰქონდა შინაგან საქმეთა სამინისტროში შეტანილი განცხადება მისი შანტაჟის მცდელობის გამო, რამიშვილს 30 ათასი დოლარი მიუტანა და დანარჩენი თანხის გადახდას ორიოდ დღეში ჰპირდებოდა. ცალკე საკითხია, რომ იმავე ვიდეოჩანაწერში არ არის დაფიქსირებული საუბარი რაიმე სიუჟეტისა თუ ფილმის გაშვება-არგაშვების შესახებ, რაც გამოძალვის ფაქტის იურიდიულად დადასტურება-არდადასტურებისთვის მნიშვნელოვანი დეტალია. სისხლის სამართლის კოდექსის 181 მუხლში ხომ პირდაპირ არის ნათქვამი, რომ გამოძალვა, სხვა საქმიანობასთან ერთად, გულისხმობს **"სახელგამტეხი ცნობის გახმაურების ან სხვა ისეთი ცნობის გავრცელების მუქარას, რამაც შეიძლება არსებითად დააზიანოს მათი უფლებები"**. ფაქტია, რომ საქვეყნოდ გახმაურებულ ფარულ ჩანაწერში, მართალია, აშკარად ჩანს, როგორ გადასცემს მას კობა ბექაური 30 ათას დოლარს, დანარჩენი თანხის გადახდას ჰპირდება და სტუდია "რეპორტიორის" ჟურნალისტების "გაჩუმებასაც" სთხოვს, მაგრამ შალვა რამიშვილის მხრიდან ბექაურის მიმართ რაიმე სახის მუქარა არ შეინიშნება.

**"პროვოკაცია"** - ეს ის ერთადერთი სიტყვაა, რომლითაც შეაფასა მის ირგვლივ დატრიალებული მოვლენები დაკავებისას შალვა რამიშვილმა.

მისი ამ პოზიციის მართებულობაში მხოლოდ გამოძიებისა და სასამართლო პროცესის ჩატარების შემდეგ თუ დავრწმუნდებით. თუმცა, ამ საქმეს აქვს მეორე მხარე - ის ინფორმაცია, კომპრომატები, რომლებიც სტუდია "რეპორტიორმა" კობა ბექაურის შესახებ შეაგროვა, ხოლო შალვა რამიშვილმა კი საკმაოდ ძვირად - 100 ათას დოლარად შეაფასა.

### 100 ათას დოლარად შეფასებული კომპრომატები

სტუდია "რეპორტიორის" ხელმძღვანელის, ჟურნალისტ ვახტანგ კომახიძის განმარტებით, პარლამენტარ კობა ბექაურის შესახებ ინფორმაციის შეგროვებისკენ მათ მისმა ქონებრივმა დეკლარაციამ უბიძგა, რომლის თანახმადაც ბექაურის ქონება უკანასკნელი ერთი წლის მანძილზე 394 ათასი ლარით გაიზარდა.

**"კობა ბექაურმა ეს შემოსავალი სესხით ახსნა, რომელიც ისრაელში მცხოვრები ქართველი ბიზნესმენისგან აიღო. აქ ყველაზე მთავარი ის გახლავთ, რომ სესხი უპროცენტოა, ანუ შეღავათიანი. საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად კი, შეღავათი საჩუქართანაა გათანაბრებული და წერია, რომ თანამდებობის პირს, მისი ოჯახის წევრს უფლება აქვს მიიღოს საჩუქარი, თუ ერთი წლის განმავლობაში მიღებული საჩუქრების საერთო ღირებულება არ აღემატება საარსებო მინიმუმის ოცმაგ ოდენობას. ბიზნესმენისგან ნასესხები 150 ათასი დოლარის საპროცენტო განაკვეთი კი, ანუ ის თანხა, რომელიც შეღავათად, შესაბამისად, საჩუქრად უნდა იქნეს აღიარებული, საარსებო მინიმუმის ოცმაგ ოდენობას ბევრად აღემატება,"** - ამბობს ვახტანგ კომახიძე, თუმცა, ეს ერთადერთი კომპრომატი არ არის, რისი მოპოვებაც "რეპორტიორის" ჟურნალისტებმა შეძლეს.

**"ბექაური ამბობს, რომ ნასესხები თანხის ნაწილით მისმა მეუღლემ საბაჟო ტერმინალ "ოპიზას" აქციები შეიძინა,** - აცხადებს ვახტანგ კომახიძე, - **დავიწყოთ იმით, რომ კანონი საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობის შესახებ საჯარო პირს კერძო საწარმოს მართვაში მონაწილეობის მიღებას უკრძალავს, ჩვენ კი გვაქვს ფარული ჩანაწერი, რომელშიც ნათლად ჩანს, რომ კობა ბექაური**



სტუდია "რეპორტიორის" ხელმძღვანელი, ჟურნალისტი ვახტანგ კომახიძე.

**ფაქტობრივად მართავს ამ საწარმოს. შესაბამისად, მოვითხოვთ, რომ საქართველოს პარლამენტმა იმსჯელოს ამ საკითხის შესახებ და გაარკვიოს, რასთან გვაქვს საქმე. მაგრამ ეს არაფერი. საქმე ის გახლავთ, რომ საბაჟო ტერმინალი "ოპიზა" მას შემდეგ გახდა წარმატებული, რაც მისი აქციები ბექაურების ოჯახმა შეიძინა."**

კომახიძის ნაამბობის თანახმად, საქმე იმ ტიპურ სქემასთან გვაქვს, რომელიც შევარდნაძის მმართველობის პერიოდში საკმაოდ ფართოდ იყო აპრობირებული და რომლის გამოც მაშინდელი ოპოზიცია იმავე ფრიდონ ინჯიას სდებდა ბრალს. საუბარია კერძო საწარმოს სასარგებლოდ სახელმწიფო საწარმოს ხელოვნურად გაკოტრებაზე.

**"თბილისის საბაჟო ადმინისტრაცია, თავის დროზე, სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული საბაჟო ტერმინალის "ლილო 1"-ის ტერიტორიაზე გახლდათ განთავსებული. საქართველოში შემოსული ტვირთების უმეტესობა სწორედ ამ ტერმინალზე ინახებოდა და აქედან მოგება, ცხადია, სახელმწიფო ხაზინაში შედიოდა,** - გვიამბო ვახტანგ კომახიძემ, - **თუმცა, ეს ყოველივე დასრულდა მას შემდეგ, რაც "ლილო 1"-ის ხელმძღვანელობაში მივიდა ფინანსური პოლიციის ყოფილი მაღალჩინოსანი სერგო ჯავახიძე. უნდა აღინიშნოს, რომ კობა ბექაურის მსგავსად, "ოპიზას" აქციები მისმა ბიძაშვილმაც შეიძინა, მერე კი, სერგო ჯავახიძის მმართველობის პერიოდში, "ლილო 1"-ის მიზანმიმართული გაკოტრება მოხდა და მთელი ის იმპორტიორები, რომლებიც მანამდე სახელმწიფო ტერმინალის მომსახურებით სარგებლობდნენ, ტერმინალ "ოპიზას" კლიენტები გახდნენ. ყველა ეს მოვლენა ტერმინალ "ოპიზაში" კობა ბექაურის შესვლის შემდეგ მოხდა."**

ყველა ეს ინფორმაცია საკმარისი გახლავთ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის მოადგილის კობა ბექაურის კომპრომეტირებისათვის, თუმცა, სტუდია "რეპორტიორის" წარმომადგენლები ამბობენ, რომ თავად შალვა რამიშვილისთვის ეს დეტალები ცნობილი არ იყო, მან მხოლოდ ის იცოდა, რომ კობა ბექაურის შესახებ ჟურნალისტური გამოძიება მიმდინარეობდა. ვახტანგ კომახიძის თქმით, რამიშვილმა არც ის იცოდა, რომ სტუდია "რეპორტიორისთვის" უფრო შორს მიმავალი ფაქტებია ცნობილი. კერძოდ ის, რომ ტერმინალ "ოპიზასთან" დაკავშირებით კობა ბექაურის უკან უფრო ძლევამოსილი ადამიანები დგანან.

**"ჯერჯერობით ამის თაობაზე მხოლოდ ინფორმაცია გვაქვს, სამხილები არ მოგვეპოვება, თუმცა, არ არის გამორიცხული, სანამ ფილმის მონტაჟი დასრულდება, ეს სამხილებიც მოვიპოვოთ,"** - ამბობს ვახტანგ კომახიძე.

### "სუფთა ვარ და ამიტომაც განვაცხადე"

გარკვეული ხმების თანახმად, თავად პარლამენტარი კობა ბექაურიც აიძულეს, რომ შალვა რამიშვილი "ჩაეშვა". მეტიც, ბევრის აზრით, ბექაური ისევეა გაწირული, როგორც რამიშვილი. თავად უმრავლესობის ლიდერის მოადგილე ასე არ მიიჩნევს და, როგორც ჩანს, მას საამისო გარანტიებიც გააჩნია.

**"მე სუფთა ვარ და სწორედ ამიტომ შევძელი შანტაჟის შესახებ განმეცხადებინა. მე რომ მართლაც მქონოდა რაიმე პრობლემა, სამართალდამცველებს არ მივმართავდი**, - განაცხადა ჩვენთან საუბრისას კობა ბექაურმა, - **ვწუხვარ, რომ შალვა რამიშვილი დაპატიმრებულია. ის ჩემი მეგობარი იყო და რაც მოხდა, ჩემთვის ძალზე მტკივნეულია, მაგრამ მე ერთადერთი რამ მამოძრავებდა - ქართულ მასმედიაში უნდა დასრულდეს შანტაჟისა და გამოძალვის მეთოდებით მუშაობა."**

მიუხედავად ამისა, ბექაური ადასტურებს, რომ მან უპროცენტო ვალი აიღო ისრაელში მცხოვრები ქართველი ბიზნესმენისგან.

**"ეს ადამიანი ჩემი ოჯახის ახლობელია. საქართველოში ყოფნისას არერთხელ ყოფილა ჩემთან სახლში,** - ამბობს კობა ბექაური, **- მან მე 150 ათასი დოლარი მასესხა. ეს სესხი დოკუმენტურად დამოწმებულია. ნასესხები თანხის ძირითადი ნაწილი მშენებარე სახლში ჩავდე, მაგრამ ცხადია, ვფიქრობდი ვალის დაბრუნებაზეც და ამიტომ, შემოსავალი რომ მქონოდა, თანხის ნაწილით ტერმინალ "ოპიზას" აქციები შევიძინე."**

ბექაურისვე განმარტებით, ჟურნალისტების ვერსია სახელმწიფო დაქვემდებარებაში მყოფი ტერმინალის "ოპიზას" სასარგებლოდ გაკოტრების შესახებ სრული სიცრუეა. რაც შეეხება შანტაჟს, იგი ამბობს, რომ შალვა რამიშვილი სამი თვის მანძილზე ცდილობდა მისთვის ფულის გამოძალვას.

**"ალტერნატივის წინაშე მაყენებდნენ, მეუბნებოდნენ, რომ ინვალიდთა ლიგის ვალის, ყალბ აქტივებად აღიარებული 680 ათასი ლარის გადახდა უზრუნველმეყო ან ხელზე გადამეხადა 100 ათასი დოლარი,"** - აცხადებს ბექაური.

აღსანიშნავია, რომ ინვალიდთა ლიგის შესახებ შალვა რამიშვილის დაკავების დღეს არაფერი თქმულა. ცნობისთვის, მასთან ერთად დაკავებული დავით კოხრეიძე ინვალიდთა ლიგის ერთ-ერთი დამფუძნებელი გახლავთ.

დავით კოხრეიძის ძმა, ტელეკომპანია "202"-ის ერთ-ერთი დამფუძნებელი გოგა კოხრეიძე დეტალური კომენტარებისგან თავს იკავებს და მხოლოდ იმას ამბობს, რომ სამართალდამცველებმა პირველ რიგში სატელეფონო საუბრების ამონაბეჭდები უნდა მოიპოვონ, საიდანაც ნათლად გამოჩნდება, რომ ზარები სწორედ კობა ბექაურისგან შემოდიოდა და არა პირიქით.

დაბოლოს, 27 აგვისტოს, შალვა რამიშვილის დაკავების დღეს, გამოძიება ამაყად აცხადებდა, რომ შანტაჟის ირგვლივ ყველაფერს ობიექტურად გამოიძიებს, მათ შორის - იმ კომპრომატების რეალურობასაც, რომელთა ასე ძვირად შეფასებასაც აბრალებენ შალვა რამიშვილს. გუშინ გენერალური პროკურორის მოადგილემ კახა კობერიძემ, რომელიც შალვა რამიშვილის ბრალდების საქმეს უწევს კურატორობას, განაცხადა, რომ ამ ეტაპზე კობა ბექაურის წინააღმდეგ არსებული კომპრომატების შესწავლის საკითხი სამართალდამცველთა დღის წესრიგში არ დგას. მაგრამ, თუ სტუდია "რეპორტიორი" დანაპირებს შეასრულებს, კობა ბექაურის შესახებ ფილმზე მუშაობას დაასრულებს და ამ ფილმს ფართო საზოგადოებას წარუდგენს, გამოძიებას უშუალოდ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი დაავალდებულებს, რომ მტყუან-მართალი გაარკვიოს.

### შინაგან საქმეთა სამინისტრომ "202"-ის შემოწმება უსანქციოდ სცადა

ტელეკომპანია "202"-ში გუშინ შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლები გამოჩნდნენ, თუმცა რამდენიმე საათიანი მოლაპარაკების შემდეგ მათ ტელეკომპანიის შენობა დატოვეს.

სტუდია "რეპორტიორის" დამფუძნებლის ვახტანგ კომახიძის განცხადებით, სამართალდამცველები იმ დროს გამოჩნდნენ, როდესაც იგი პარლამენტარ კობა ბექაურის შესახებ მასალას ამონტაჟებდა.

**"უშიშროების თანამშრომლები კობა ბაქაურის შესახებ ჩვენს ხელთ არსებულ დოკუმენტებს ითხოვდნენ,"** - ამბობს ვახტანგ კომახიძე.

როგორც კომახიძემ განაცხადა, სამართალდამცველებს სტუდიაში მისვლის დროს არანაირი ოფიციალური დოკუმენტი არ გააჩნდათ: არც მოსამართლის ბრძანება ჩხრეკის შესახებ და არც დადგენილება გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შესახებ.

**"როდესაც დოკუმენტები მოვითხოვეთ, სამართალდამცველებმა გვიჩვენეს დადგენილების ბლანკი, რომელიც შევსებულიც არ იყო და იქ აპირებდნენ გაფორმებას. ჩვენი გაპროტესტების შემდეგ მათ "ბიჭების" ანუ სპეცრაზმის გამოძახება დააპირეს,"** - გვიყვება ვახტანგ კომახიძე.

"ბიჭების" გამოძახებამდე და მისვლამდე სტუდია "რეპორტიორის" წარმომადგენლები მომხდარის შესახებ კოლეგებს დაუკავშირდნენ.

**"ჟურნალისტების გამოჩენის შემდეგ უშიშროების თანამშრომლებმა პოზიცია შეარბილეს და ცოტა ხანში ტელეკომპანიის შენობაც დატოვეს,"** - გვითხრა ვახტანგ კომახიძემ.

თუმცა, გუშინდელი დღე სტუდია "რეპორტიორისთვის" მხოლოდ ამ ფაქტით არ იყო მნიშვნელოვანი. ვახტანგ კომახიძის განცხადებით, დილა პარლამენტარ კობა ბექაურის სატელეფონო ზარებით დაიწყო. კომახიძის თქმით, ბექაური ურეკავდა ჟურნალისტ ბელა ზაქაიძეს და ემუქრებოდა, რომ ჟურნალისტები ქრთამისტები იყვნენ და მათაც დაიჭერდნენ.

რამდენ ხანს გაგრძელდება სტუდია "რეპორტიორში" სიმშვიდე, ვახტანგ კომახიძისთვისაც უცნობია.

**"ათი წელია, არასამთავრობო ორგანიზაცია მაქვს და ჟურნალისტური გამოძიებების მასალებზე ფილმებს ვიღებ, მაგრამ აქამდე არ მახსოვს, რომ სამართალდამცველებს ჩვენთვის სამუშაო მასალები მოეთხოვათ. როგორც ჩანს, ვანო მერაბიშვილი ის კაცია, ვისაც უკან დახევა არ სჩვევია და, სავარაუდოდ, მისი ხალხი კიდევ მოგვაკითხავს. არადა, მეც მიზანდასახული ვარ და არც მე ვაპირებ რამის დათმობას,"** - ასეთია ვახტანგ კომახიძის პოზიცია და განწყობა გუშინდელი დღის შემდეგ.

უცხოეთი

# არიელ შარონის ვაჟს კორუფციაში ადანაშაულებენ

ისრაელის პრემიერ-მინისტრის არიელ შარონის ვაჟს ომრი შარონს, რომელიც, ამავდროულად, ქნესეთის წევრიცაა, კორუფციაში სდებენ ბრალს. ისრაელის საკანონმდებლო ორგანოში ომრი შარონი მემარჯვენე პარტიის "ლიკუდის" სიითაა წარდგენილი. იგი ეჭვმიტანილია ფიქტიური კომპანიის ჩამოყალიბებაში, რომლის მიზანიც 1999 წელს მამის საარჩევნო კამპანიის არაკანონიერი დაფინანსების წყაროს მიჩქმალვა იყო. მაშინ არიელ შარონი პარტია "ლიკუდის" ლიდერის პოსტის დაკავებისათვის იბრძოდა.

იმ დროისათვის ისრაელში მკაცრი აკრძალვები იყო დაწესებული იმ თანხის რაოდენობაზე, რომელიც საარჩევნო აგიტაციაზე შეიძლება გახარჯულიყო.

წლების წინ ჩადენილ კანონდარღვევაზე პროკურორები ახლა ალაპარაკდნენ და ამტკიცებენ, რომ ომრი შარონმა მაშინ კანონს გვერდი აუარა - კონკრეტულად კი, პრემიერ-მინისტრის ვაჟს შემოწირულობების არალეგალურად მიღებასა და დამალვაში ადანაშაულებენ.

რაც შეეხება, უშუალოდ, არიელ შარონის დამოკიდებულებას ამ საკითხისადმი, იგი უარყოფს მისი საარჩევნო კამპანიის დაფინანსების დეტალების ცოდნას. თუმცა, როგორც ირკვევა, ომრი შარონის დადანაშაულება მოულოდნელი არავისთვის ყოფილა. საკითხი იმდენი ხანია, რაც მწიფდება, რომ თავად ეჭვმიტანილმა უკვე მოასწრო სადეპუტატო იმუნიტეტზე უარის თქმა, რასაც მას ქნესეთის წევრობა ანიჭებდა.



შარონის ვაჟი ეჭვმიტანილია ფიქტიური კომპანიის ჩამოყალიბებაში.

დაბოლოს, უნდა ითქვას ისიც, რომ ახალი სკანდალის ფონზე, ისრაელი მოსახლეობა დიდი ინტერესით ადევნებს თვალს, თუ რამდენად იმოქმედებს ომრი შარონის წინააღმდეგ დაწყებული პროცესი მისი მამის პოლიტიკურ კარიერაზე. **ბი-ბი-სი**

# "კეტრინი" ლუიზიანას უახლოვდება

პირველი გვერდიდან

საგანგებო მდგომარეობა ლუიზიანასა და მისისიპიში გუბერნატორებმა ჯერ კიდევ პარასკევს გამოაცხადეს.

**"ეს ძალიან სახიფათო ქარიშხალია. მის შემოტევას, შესაძლოა, უამრავი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლოს, თუ ისინი ძალიან სწრაფად არ იმოქმედებენ,"** - განაცხადა ქარიშხლის ეროვნული ცენტრის დირექტორმა მაქს მეიფილდმა.

როგორც ტელეკომპანია "ფოქსი" იუწყება, "კეტრინის" ვიზიტი ფლორიდის შტატს, დაახლოებით, 2 მილიარდი დოლარი დაუჯდა. დაღუპულია შვიდი ადამიანი, ელექტროენერგიის გარეშეა დარჩენილი 850 ათასი ოჯახი, დაიტბორა საცხოვრებელი სახლები.

გაცილებით მძიმე განსაცდელის წინაშე ახლა უკვე ახალი ორლეანის მოსახლეობა დგას. ახალი ორლეანის მერმა რეი ნეგინმა უკვე მოუწოდა მოსახლეობას, მოიმარაგონ მედიკამენტები, შეინარჩუნონ სიმშვიდე და, საჭიროების შემთხვევაში, იმოქმედონ კოორდინირებულად. ჯერ კიდევ გუშინ ქალაქიდან ინტენსიურად დაიწყო მოსახლეობის გადინება. რამდენიმე უმთავრეს მაგისტრალზე, რომლებიც ქალაქს უკავშირდება, ცალმხრივი მოძრაობა დაწესდა, რათა უფრო სწრაფად მომხდარიყო ხალხის ევაკუაცია.

თუმცა, როგორც მისისიპის საგანგებო მართვის სააგენტოს დირექტორმა რობერტ ლეთემმა განაცხადა, ევაკუაცია, ჯერჯერობით, სავალდებულო ხასიათის არ იყო.

**"სავალდებულო ევაკუაციის შესახებ, საჭიროების შემთხვევაში, მოსახლეობას მოგვიანებით ვამცნობთ,"** - განაცხადა ლეთემმა.

ქარიშხლის მოახლოების შესახებ ადგილობრივ ხელისუფლებას მორგან სითიდან აცნობლეს. საევაკუაციო სამუშაოები დაიწყო მექსიკის ყურეშიც, სადაც ნავთობპლატფორმებია განთავსებული.

უკანასკნელად მისისიპისა და ლუიზიანაში ძლიერი ქარიშხალი 1969 წელს იყო, როდესაც "კამილამ" 400-ზე მეტი ადამიანი შეიწირა. ქარიშხალი "ენდრიუ" კი, რომელიც მაიამის დაატყდა თავს 1992 წელს და აშშ-ს ისტორიაში უდიდესი კატასტროფის გამომწვევის სახელით შევიდა, საფირ-სიმპსონის სკალით, ასევე, მეხუთე კატეგორიას განეკუთვნებოდა. თუმცა, ამჯერად საფრთხე, შესაძლოა, უფრო მასშტაბურიც იყოს, რადგან მას შემდეგ სანაპირო ტერიტორიებზე მილიონობით ადამიანი დასახლდა.

# ერაყის კონსტიტუციის პროექტი, წინააღმდეგობის მიუხედავად, მაინც დამტკიცდა

ერაყის კონსტიტუციის პროექტი, რომლის მიღებასაც სუნიტები ეწინააღმდეგებოდნენ, საკონსტიტუციო კომიტეტის მიერ მაინც დამტკიცდა. ხანგრძლივი და რთული პროცესი კვირას ახალ კონსტიტუციაზე ხელის მოწერით დასრულდა. როგორც საკონსტიტუციო კომიტეტის სუნიტმა წევრმა ჰუსეინ ელფალუჯიმ განაცხადა, არც ერთმა საკონსტიტუციო კომიტეტის წევრმა სუნიტმა ხელი არ მოაწერა ქვეყნის უზენაესი კანონის პროექტს. მისი თქმით, სუნიტები თავიანთ ქცევას მხოლოდ იმით ხსნიან, რომ სურთ, შეინარჩუნონ ერაყელი ხალხის ერთიანობა და თავიდან აიცილონ მომავალში ქვეყნის დაშლა.

**"ჩვენ კი გვსურდა, ისეთი კონსტიტუცია მიგველო, სადაც მთლიანად ერაყელი ხალხის ინტერესები იქნებოდა გათვალისწინებული და არ მიენიჭებოდა პრიორიტეტი ცალკეულ მხარეებს"**, - დაამატა ჰუსეინ ელ-ფალუჯიმ.

აღნიშნული პროექტი პარლამენტში შიიტურმა და ქურთების პარტიების წარმომადგენლებმა წარადგინეს. სუნიტების დაჟინებული მოთხოვნის საფუძველზე, ტექსტში გარკვეული შესწორებებიც იქნა შეტანილი. პროცესის დასრულების მიუხედავად, მაინც დარჩა რამდენიმე საკითხი, რის გამოც, საკონსტიტუციო კომიტეტის წევრთა პოზიციები გაიყო. მხარეები ვერ შეთანხმდნენ ისეთ საკვანძო საკითხებზე, როგორიცაა ისლამი, ქვეყნის ფედერალური მოწყობა და რესურსების გადანაწილება.

ახალი კონსტიტუციის პროექტის გატანა რეფერენდუმზე 15 ოქტომბრისთვის იგეგმება. ამჟამად იგი პარლამენტშია გადაგზავნილი დასამტკიცებლად, რაც, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ ფორმალური მხარეა მთელი ამ პროცესისა. თუმცა, სუნიტების განცხადებით, ჯერ ყველაფერი დაკარგული არ არის, რადგან მათ კიდევ ძალუძთ სწორედ რეფერენდუმზე დაადონ ახალ კონსტიტუციას ვეტო. სუნიტებს ეშინიათ, რეფერენდუმის შემდეგ ერაყის სამხრეთ ნაწილში - შიიტების, ხოლო ჩრდილოეთში ქურთების ავტონომია არ შეიქმნას; ქვეყნის ეს ორივე მხარე ხომ ნავთობით მდიდარია. გარდა ამისა, სუნიტებს ისიც აშინებთ, რომ შიიტების ავტონომია მეზობელი ირანის ძლიერი ზეგავლენის ქვეშ მოექცევა.

სადავოა პრეზიდენტს, საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოებს შორის ძალაუფლების განაწილება და სადამ ჰუსეინის რეჟიმის მემკვიდრეობისაგან ქვეყნის გაწმენდის პროცესიც.

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აშშ-ს ელჩი ერაყში დიდი ხნის განმავლობაში აწარმოებდა მოლაპარაკებებს სუნიტების წარმომადგენლებთან, რათა ისინი ახალი კონსტიტუციის პროექტის მხარდაჭერის აუცილებლობაში დაერწმუნებინა, მაგრამ - უშედეგოდ.

ასეა თუ ისე, პროექტი ჩავარდნას გადაურჩა და ახლა რეფერენდუმისთვის მისი 5 მილიონ ეგზემპლარად დაბეჭდვაღა რჩება; ხოლო, თუ რამდენად შეძლებენ სუნიტები ქვეყნის მოსახლეობის ორი მესამედის გადაბირებას, რათა მათ არ დაუჭირონ საბოლოოდ მხარი ახალ კონსტიტუციას, თვალსაჩინო მხოლოდ 15 ოქტომბერს გახდება.

გამარჯვებისთვის მაქსიმალური გარანტიების მისაღებად კი სუნიტები უკანასკნელი რამდენიმე კვირის განმავლობაში აქტიურად მოუწოდებენ ერაყის მოსახლეობას, რეფერენდუმისათვის რეგისტრაცია გაიარონ. **24 საათი**

ენერგოსექტორის მონიტორინგი

*გაზეთი „24 საათი", „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრთან" ერთად, აწარმოებს ღია დისკუსიას საქართველოს ენერგოსექტორის მოწყობის, რეფორმირების, დარგში კორუფციის აღმოფხვრის გზების ძიების საკითხებზე. დარგის სპეციალისტებს და დამოუკიდებელ ექსპერტებს, ეკონომისტებსა და იურისტებს ვეპატიჟებით ჩვენს ღია დისკუსიაში მონაწილეობისთვის. შეგიძლიათ მასალები (აგრეთვე, ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც დარგისთვის მნიშვნელოვნად მიიჩნევთ) მოგვაწოდოთ გაზეთ „24 საათის" რედაქციის ეკონომიკის განყოფილებაში economics@24hours.ge (tel: 20-24-24) ან „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრის" ელექტრონულ ფოსტაზე energy@ecm.ge, ან დაუკავშირდეთ პროექტის ხელმძღვანელს ელექტრონულ მისამართზე maya_u@gol.ge.*

ECM ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი
Center of Economic Corruption Monitoring

The Eurasia Foundation
Georgia Office

ენერგეტიკაში მიმდინარე პროცესების მონიტორინგისა და ენერგორეფორმების საზოგადოებრივი მხარდაჭერის პროექტს „ენერგეტიკა – კორუფციის გარეშე" „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი" ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური დახმარებით, ფონდ „ევრაზიისგან" მიღებული გრანტის მეშვეობით ახორციელებს. მიუხედავად ამისა, პროექტის ფარგლებში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წარმომადგენლობის (USAID) ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ოფიციალურ პოზიციას. მასალების შინაარსზე პასუხს „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი" აგებს.

მოკლედ

### "თელასი" საერთო მოხმარების მრიცხველებს დაამონტაჟებს

საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ სადისტრიბუციო კომპანია "თელასს" 2006 წლის 1 სექტემბრამდე საერთო მოხმარების მრიცხველების დამონტაჟების უფლება მისცა.

"თელასი" საერთო მოხმარების მრიცხველებს წვერში, შინდისში, ოქროყანაში, კოჯორში, კიკეთში, ბეთანიასა და ახალდაბაში დაამონტაჟებს.

ამავდროულად, "თელასს" თბილისში 50 ათასი აბონენტი გაუმრიცხველიანებელი ჰყავს. კომპანიაში ამის მიზეზად იმას ასახელებენ, რომ ეს აბონენტები რელიეფურად რთულ ადგილებში ცხოვრობენ. "ზოგიერთ ადგილას "თელასი" ტექნიკის მიყვანასაც კი ვერ ახერხებს. ამის გამო, კომპანია 3 მილიონ კილოვატსაათ ელექტროენერგიას კარგავს, რადგან გამრიცხველიანებულ უბნებთან შედარებით, გაუმრიცხველიანებელი უბნები 8-ჯერ მეტ ელექტროენერგიას მოიხმარენ," - აცხადებენ კომპანიაში.

მიუხედავად მისა, რომ "თელასი" გაუმრიცხველიანებელ უბნებში კომუნალური მრიცხველებით ანგარიშსწორების უფლებას 2007 წლის მაისამდე ითხოვდა, სემეკ-მა მას ეს უფლება 2006 წლის 1 სექტემბრამდე დაუმტკიცა. ამ უფლების მოსაპოვებლად კომპანიას კომისიისთვის კომუნალური მრიცხველების დამონტაჟების პროგრამის, უბნების აღწერისა და ხარჯთაღრიცხვის წარდგენა დასჭირდა.

"საერთო მოხმარების მრიცხველებით მხოლოდ ის ოჯახები ისარგებლებენ, რომელთაც ინდივიდუალური მრიცხველი დაზიანებული აქვთ," - განაცხადეს სემეკ-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში.

2006 წლის 1 სექტემბრიდან "თელასმა" ამ რეგიონში დამონტაჟებული კომუნალური მრიცხველები ინდივიდუალურით უნდა შეცვალოს.

### "სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" დირექტორი სგსე-ს თანამშრომლის დამსახიჩრებლის დასჯას მოითხოვს

"საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" დირექტორი დინ უაითი კომპანიის ბოლნისის ფილიალი თანამშრომლის დასახიჩრებისათვის დამნაშავის დასჯას მოითხოვს. მან ამ მიზნით საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს და გენერალურ პროკურორს მიმართა.

საქმე ეხება ივლისის ბოლოს მომხდარ ინციდენტს, როცა ბოლნისის რაიონში ადგილობრივმა მცხოვრებლებმა კომპანიის ფილიალის თანამშრომელი ემზარ რარგიმოვი სცემეს და ყური მოაჭამეს. ეს ყველაფერი მას შემდეგ, რაც მან ერთ-ერთ მომხმარებელს დავალიანების გამო ელექტროენერგია გაუთიშა.

დინ უაითმა დაზარალებული ემზარ რარგიმოვი სამშაბათს მოინახულა. მისი თქმით, უაითს არ სურდა ერთი თვის წინ მომხდარი ინციდენტის გახმაურება, მაგრამ დამნაშავე დღემდე არ დასჯილა. ამ დროს კი ფილიალის თანამშრომლები დაშინებულნი არიან და ურჩი გადამხდელებისათვის ელექტროენერგიის გათიშვის ეშინიათ.

### ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისია 5 ათას ლარიან ჯარიმას აწესებს

ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისია ურჩი ლიცენზიანტების დასჯის მიზნით საჯარიმო სანქციებს აწესებს. კომისიამ შესაბამისი ოქმის ფორმა უკვე დაამტკიცა. ოქმში სემეკის მოთხოვნათა ნებისმიერი შეუსრულებლობა აისახება და, დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში, ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ლიცენზიანტების ხელმძღვანელები კომისიის მოთხოვნის დარღვევისათვის 5000 ლარით დაჯარიმდებიან.

როგორც სემეკის თავმჯდომარემ გიორგი თავაძემ განაცხადა, ლიცენზიანტები ხშირად არ ასრულებენ სემეკ-ის მოთხოვნებს, ამიტომ მათი ხელმძღვანელები, კომისიის მოთხოვნების შეუსრულებლობის გამო, 5000 ლარით დაჯარიმდებიან. "თავად ლიცენზიანტმა კომპანიებმა ზარალი რომ არ განიცადონ, ჯარიმა ორგანიზაციის ხელმძღვანელებს დაეკისრებათ. ამის უფლებას ჩვენ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი გვაძლევს," - განაცხადა თავაძემ.

აღნიშნული დადგენილება იუსტიციის სამინისტროში გაივლის რეგისტრაციას, შემდეგ კი ფინანსთა სამინისტროში შეთანხმდება, რის შემდეგაც ის დაუყოვნებლივ ამოქმედდება.

### "საქრუსენერგოს" მტკიცებით, ზამთრისთვის მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზები სრულ მზადყოფნაში იქნება

როგორც "საქრუსენერგოში" ირწმუნებიან, ზამთრისთვის მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზები სრულ მზადყოფნაში იქნება. "საქრუსენეროგოს" გენერალური დირექტორის პირველმა მოადგილემ შოთა მაისურაძემ განაცხადა, რომ კომპანიის კუთვნილ ყველა ელექტროგადამცემ ხაზზე - "ქართლი 1", "ქართლი 2", "იმერეთი", "კავკასიონი", ასევე "აჭარა" და "გარდაბანი" - პროფილაქტიკური სამუშაოები ხორციელდება და ზამთრის სეზონს ეს ხაზები მომზადებული შეხვდება. მისი აზრით, ელექტროგადამცემი ხაზების მუშაობაში შეფერხებები არ უნდა შეიქმნას, თუ ისინი ზვავების ან სხვა სტიქიური მოვლენების, ანუ ე.წ. "ფორსმაჟორული" მიზეზებით არ დაზიანდება.

მაისურაძის თქმით, ინტენსიური სამუშაოები მიმდინარეობს საქართველო-რუსეთის მაკავშირებელ 500-კილოვოლტიან ელექტროგადამცემ ხაზ "კავკასიონზე", სადაც ზვავისაგან წაქცეული ანძის აღდგენა ხორციელდება. მისი თქმით, ხაზებზე პროფილაქტიკური სამუშაოები "საქრუსენერგოს" დაფინანსებით ხორციელდება, ამ დროს კი საბითუმო ბაზრის მიერ ქართულ-რუსული კომპანიის კუთვნილი თანხების სრულყოფილად გადახდა არ ხდება. მისივე განმარტებით, "საქრუსენერგოს" თვეში საშუალოდ მილიონი ლარი ეკუთვნის, ბაზრის მიერ კი მისთვის მხოლოდ 20-25 პროცენტის ანაზღაურება ხორციელდება.

### თბილისელები ჟინვალის წყალსაცავიდან კარგად გაწმენდილ წყალს მიიღებენ

"ჟინვალჰესის" ადმინისტრაციამ წყალდიდობის შედეგად დაზიანებული ბოდორის საბუფერო აუზის ნაგვისგან გაწმენდა დაიწყო. სამდღიანი წინასწარი სამუშაოები, რომელთა გამოც "ჟინვალჰესი" გაჩერებული იყო, გუშინ საღამოს დასრულდა. თავად გამწმენდი სამუშაოების დასრულება კი თვენახევარში იგეგმება.

ჰესის წყალგამყვანი გვირაბის სარეაბილიტაციო სამუშაოები მომავალი წლისათვის იგეგმება. გვირაბი სერიოზულადაა დაზიანებული, რის გამოც ჰესი სრული დატვირთვით ვერ მუშაობს. კერძოდ, ე.წ. დადგმული სიმძლავრის ნაცვლად, რაც 130 მეგავატს შეადგენს, მხოლოდ 80 მეგავატის გამომუშავება შეუძლია.

როგორც "ჟინვალჰესის" მმართველი კომპანიის "ჟინერის" აღმასრულებელმა დირექტორმა ემზარ ჩაჩხიანმა განაცხადა, საბუფერო აუზისა და წყალგამყვანი არხის გაწმენდის შემდეგ, თბილისის მოსახლეობა გაუმჯობესებული ხარისხის სასმელ წყალს მიიღებს. ამ სამუშაოებისთვის მსოფლიო ბანკმა 1,5 მილიონი ლარი გამოყო. სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანიები "ინჟმშენი" და "ნოლა" ახორციელებენ.

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღაიდელის მითითებით, 2006 წლის მარტისთვის ჟინვალის წყალმომარაგების კომპლექსი რეაბილიტირებული უნდა იყოს. "ჟინვალჰესი" 70-80 მეგავატ სიმძლავრეს გამოიმუშავებს, თუმცა, მისი გაჩერების შედეგად, როგორც ენერგეტიკის სამინისტროში აცხადებენ, სისტემაში დეფიციტი მხოლოდ 20 მეგავატი იქნება, რადგან დეფიციტი სხვა ჰესების მიერ გამომუშავებული სიმძლავრით დაბალანსდება.

### საქართველოს ჰესების რეაბილიტაციას, სულ მცირე, 3 წელი დასჭირდება

როგორც ენერგეტიკის მინისტრმა ალექსანდრე ხეთაგურმა განაცხადა, საქართველოს ჰესების სრულ რეაბილიტაციას, სულ მცირე, 2-3 წელი დასჭირდება. ამასთან, მისი თქმით, თუ საბოლოოდ გვინდა, ავიცილოთ ენერგოკრიზისი ზამთარში, მაშინ ჰესები ზაფხულში უნდა შეკეთდეს. აღნიშნული კომენტარი მინისტრის მოადგილემ გასულ კვირაში ქვეყანაში ენერგოკრიზისის გამწვავებასთან დაკავშირებით გააკეთა და დეფიციტის გამწვავების მიზეზად საქართველოს ჰესებზე დაწყებული რეაბილიტაციის პროცესი დაასახელა. "ყველა სოლიდურ სადგურზე, მათ შორის - ენგურზე, შაორზე, ჟინვალზე, ვარდნილზე და თბილსრესის მეცხრე, მესამე, მეოთხე ბლოკებზე სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს," - განმარტა მან.

# საქართველოს ენერგეტიკული "შიმშილი" ელოდება

*მასალა, რომელსაც დღეს გთავაზობთ, "ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრს" "ენერგეტიკოსთა საზოგადოების" თავმჯდომარემ მირონ ფირცხელანმა მოაწოდა. მასალა მცირედი რედაქტირებით იბეჭდება. ის "ენერგეტიკოსთა საზოგადოების" ნაწილის პოზიციას გამოხატავს და ამ საზოგადოების მიერ მოპოვებულ მასალებს ეყრდნობა. მიუხედავად იმისა, რომ მასალაში საკმაოდ თამამი გათვლები და ვარაუდებია მოყვანილი (კერძოდ, იმ ნაწილში, სადაც ავტორები ენერგოსექტორის მართვის ახალ მოდელზე საუბრობენ), საკითხი, რომელსაც ავტორები ეხებიან, უდავოდ პრობლემატურია და კვალიფიციურ ექსპერტულ ანალიზს საჭიროებს. ამიტომ "ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი" დღეს "ენერგეტიკოსთა საზოგადოების" წარმომადგენელთა პოზიციას გთავაზობთ და სიამოვნებით განაგრძობს საგაზეთო დისკუსიას ენერგეტიკული პრობლემების მოგვარების სავარაუდო გზების თემაზე.*

მსოფლიოს ყოველწლიურად მზარდი ეკონომიკა ენერგეტიკული სიმძლავრეების პარალელურად ზრდას ითხოვს. ელექტროენერგიაზე დამოკიდებული ტექნიკა დღითიდღე არითმეტიკული პროგრესიით იზრდება. ჩვენი ცხოვრების ნებისმიერი სფერო ელ. ენერგიის მოხმარებასთან არის დაკავშირებული. ეს არის: განათების, გათბობის, ტელე-რადიო, მაცივრების, სავენტილაციო, სატელეფონო, კომპიუტერული მოწყობილობა-დანადგარების, სატრანსპორტო, სამრეწველო, სამხედრო, საჰაერო, სახმელეთო და საწყლოსნო და სხვა მრავალი დანიშნულების მომხმარებელი.

საქართველო იმ ქვეყნების რიცხვს განეკუთვნება, ვინც თავისი ეკონომიკით და ტექნიკური მაჩვენებლებით განვითარებულ ქვეყნებზეა ორიენტირებული (ამერიკა, ევროპა). აქედან გამომდინარე, ელექტროენერგიაზე მოთხოვნილება, ბუნებრივია, ყოველწლიურად გაიზრდება. რაც შეეხება ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესებს, ხელისუფლების მთავარი აქცენტი მსხვილი საწარმოებისა და დაწესებულებების გაყიდვისკენაა მიმართული. ანუ უნდა შემოვიდეს დამატებითი კაპიტალი, რაც, აგრეთვე, დამატებით ელექტროენერგიის მოთხოვნილების გაზრდასთანაა დაკავშირებული.

როგორია ქვეყნის ელექტროენერგიით უზრუნველყოფის შესაძლებლობები? მივმართოთ სტატისტიკას:

ჯერ კიდევ 1990 წელს საქართველოს თბო და ჰიდროსადგურების დადგმული სიმძლავრე 4000 მეგავატს, ხოლო წლიური გამომუშავება 14 მილიარდ კილოვატსაათს აღწევდა. 2000-2004 წლების პერიოდისათვის მოქმედი სიმძლავრე საშუალოდ 1200 მეგავატამდე, ხოლო წლიური გამომუშავება საშუალოდ 7 მილიარდ კილოვატსაათამდე შემცირდა. ცნობილი მოვლენების შედეგად, ამ პერიოდში სხვადასხვა დარგის წარმოება თითქმის 80 პროცენტით გაჩერდა, საშუალო ბიზნესი არ განვითარდა, ელექტროენერგიის სამრეწველო მოხმარების წილი კატასტროფულად დაეცა (იხ. ნახ. №1, ბ) ძირითადი მომხმარებელი მოსახლეობა გახდა. მიუხედავად ამისა, დეფიციტი, ფაქტობრივად, 50-60 პროცენტს აღწევდა.

დეფიციტური ბალანსი დღესაც არსებობს, რაც მომავალში წარმოების განვითარების პარალელურად კიდევ უფრო გაიზრდება. რა მოხდა? რამ განაპირობა ენერგეტიკის დარგის დაცემა? გამოკვლევებით დადგინდა, რომ ენერგოსისტემის უკუსვლის (ძირითადი) მიზეზები შემდეგია:

ა) ხელისუფლების მიერ არასწორი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება;

2) დარგის ფინანსური მართვის არასწორი მექანიზმის დანერგვა, რაც უშუალოდ სხვადასხვა უმაღლესი ჩინოვნიკური წრის მიერ მსხვილი კორუფციული სისტემის შესაქმნელად იქნა ჩამოყალიბებული;

3) საზოგადოების (სხვადასხვა ინსტიტუტის: არასამთავრობო ორგანიზაციების, ოპოზიციური პარტიების, საერთაშორისო ორგანიზაციების და თვით მოსახლეობის) სუსტი წინააღმდეგობა.

სამწუხაროდ, უნდა ვაღიაროთ, რომ თითქმის იგივე სურათი გვაქვს დღესაც.

ა) ხელისუფლებამ ჯერ კიდევ არ მისცა უპირატესობა ჰიდრომშენებლობის (ენგურის, რიონის, მტკვრის და ჭოროხის ხეობებში უკვე დაპროექტებული ჰესების) განვითარებას. პირიქით, მთავრობის გადაწყვეტილებით უკვე გაყიდვაშია არსებული ჰიდროელექტროსადგურების უმრავლესობა (რაც კონსტიტუციის მე-3 მუხლით იკრძალება);

ბ) დარგის ფინანსური მართვის სისტემა არ შეიცვალა (კორუფციული წილი ყოველთვიურად საშუალოდ 20-25, ხოლო წლიურად 240-250 მილიონ ლარს შეადგენს);

გ) არ გაამართლა ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარმა, არსებობის 4-5 წლის განმავლობაში მისმა დავალიანებამ (გენერაციისა და ელექტროსისტემის მიმართ) 600 მილიონ ლარს გადააჭარბა;

დ) არ ჩამოყალიბდა წმინდა საბაზრო პრინციპები, მონოპოლია ხელში აქვთ აღებული რუსულ "რაო ეეს როსიის" შვილობილ კომპანია "თელასს" და ამერიკული "პი-ეი კონსალტინგის" მიერ მართულ "გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას" (რომელთა მოხმარების წილი 70 პროცენტს აღემატება, ხოლო გადახდის საშუალო მაჩვენებელი 10 პროცენტზე ნაკლებია);

ე) იბლოკება ქართველი ენერგეტიკოსების მიერ შეთავაზებული მართვის სისტემა, რომელიც საბანკო სისტემის დანერგვის შედეგად კორუფციის მაქსიმალურად შეზღუდვას, არსებული ელექტროსადგურების რემონტის, ახალი ელექტროგადამცემი ხაზების დროული მშენებლობის დაწყებას და დაახლოებით 10 ათასი (ადგილობრივი) სამუშაო ადგილის შექმნას გულისხმობს.

ყოველივე ამით საშუალო წლიური დადგმული სიმძლავრე 5 ათას მეგავატამდე, ხოლო გამომუშავება 15 მილიარდ კილოვატსაათამდე იზრდება.

ბუნებრივია, სახელმწიფო ბიუჯეტი და თვით დარგი შთამბეჭდავ შემოსავლებს მიიღებს. კერძოდ, თუ ზემოთ აღნიშნული მექანიზმი დაინერგება, ამით ქვეყნის შიდა და გარე ბაზარი უზრუნველყოფილი გახდება მუდმივი ელექტროენერგიით, დარგის საშუალო წლიური შემოსავალი კი 700 მილიონ ლარს გადააჭარბებს. სახელმწიფო ბიუჯეტში (არსებული საგადასახადო სისტემით) 30-40 პროცენტი, ანუ 200-250 მილიონი ლარი შევა, ხოლო დანარჩენი 400-500 მილიონი ლარი საქართველოს მოქალაქეების საკუთრება გახდება, ასე რომ, 1 კილოვატსაათის ღირებულება (გადასახადის სახით) კი არ გაიზრდება, არამედ შემცირდება კიდეც.

ვფიქრობთ, ეს არის ერთ-ერთი ის გზა, რითაც საქართველოში საშუალო ფენა უნდა ჩამოყალიბდეს. ყოველივე ამის მიღწევა კი, წინასწარი გათვლებით, დაწყებიდან პირველი ხუთი წლის განმავლობაშია შესაძლებელი.

ცხადზე უცხადესია, რომ მარტო ერთ დარგს - ენერგეტიკას დიდი ძვრების მოხდენა შეუძლია. პარალელურად, როცა სხვა დარგებიც ამუშავდება (ქვეყნის სწორი მართვის პირობებში), თითოეული ოჯახის საშუალო წლიური შემოსავალი ევროპის მცხოვრებთა შემოსავლის დონეს მიუახლოვდება. ეს კი გადარჩენაა.

რა გვაქვს და რა შეიძლება გვქონდეს უახლოეს მომავალში?

მიმდინარე წლის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხებით შესაძლებელია არსებული თბო და ჰიდროსადგურების გარემონტება, რაც დადგმულ მოქმედ სიმძლავრეს 300-400 მეგავატით გაზრდის (თუმცა, თუ ქვეყანაში არსებულ კორუფციულ სისტემას გავითვალისწინებთ, არ არის გამორიცხული, ფული ათვისებულ იქნება, სამუშაოები კი ნაწილობრივ, ან უხარისხოდ შესრულდეს). რაც შეეხება გაზო-ტურბინების დამონტაჟებას და ექსპლუატაციაში გაშვებას, 4-5 თვეში ამის მიღწევა ყოვლად შეუძლებელია. ერთადერთი შანსი გარდაბნის ძველი (3, 4, 7, 8) ბლოკების წესრიგში მოყვანაა, რაც, ძველი რუსული ტექნიკიდან გამომდინარე, საკმაოდ საეჭვოა, თუმცა სხვა გამოსავალი არა გვაქვს. გამომდინარე აქედან, მოგვიწევს ძვირი საწვავის ყიდვა, რაც კიდევ უფრო გაზრდის ელექტროენერგიის ღირებულებასაც და დეფიციტსაც. მხედველობაში უნდა მივიღოთ, აგრეთვე, ენერგოსისტემაში წლების განმავლობაში გაურემონტებელი და მოძველებული სხვადასხვა კვანძი, რაც ხშირი ავარიის მიზეზი ხდება. მიუხედავად იმისა, რომ წლევანდელი წელი წყალდიდობებით ხასიათდება, მისი გამოყენების კოეფიციენტი საკმაოდ დაბალია (ზარალი თვეში საშუალოდ 12-15 მილიონი დოლარის ეკვივალენტია).

ამჟამად ქვეყნის ენერგეტიკის საკვანძო რგოლებს უცხოელი მენეჯერები და მეპატრონეები განაგებენ. მათ შორის არიან: "რაო ეეს როსიი" - "თელასის" მეშვეობით (რუსეთი), "პი-ეი კონსალტინგი" - "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" მეშვეობით (აშშ), "იბერდროლა" - ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის მეშვეობით (ესპანეთი-ინგლისი) და "ESBI ჯორჯია" - "სახელმწიფო ელექტროსისტემის" მეშვეობით (ირლანდია).

მთავრობის გადაწყვეტილება (მოტივაცია) უცხოური კომპანიების შემოყვანის შესახებ, ძირითადად, ეყრდნობოდა შემდეგ არგუმენტაციას:

1) იმ დროისთვის ენერგოსისტემაში არსებობდა კორუფცია (საშუალოდ 30-40 პროცენტი);

2) არ არსებობს წმინდა საბაზრო პრინციპებზე ჩამოყალიბებული მექანიზმი, რის გამოც დარგი მუდმივ დოტაციაზეა;

3) კადრებს სჭირდებათ შეცვლა, გაახალგაზრდავება, სწავლება და ა.შ.;

4) უნდა შემოვიდეს უცხოური ინვესტიცია, რაც დარგს ფეხზე დააყენებს;

5) იმისათვის, რომ დავძლიოთ მუდმივი ენერგოკრიზისი, წამგებიანი ელექტროსადგურები უნდა გავყიდოთ.

რა შეიცვალა და რა მიმართულებით?

1. დარგში არსებული კორუფციის წილი 60-70 პროცენტამდე გაიზარდა;

2. ვერ ჩამოყალიბდა მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში არსებული საბაზრო პრინციპები;

3. კადრების შემცირება, ძირითადად, პროფესიონალების ხარჯზე (ბოლო 5 წლის განმავლობაში დარგიდან იძულებით დაახლოებით 7 ათასი კაცი წავიდა) მოხდა;

4. ქვეყანაში 500 მილიონ დოლარზე მეტი შეღავათიანი ინვესტიცია მართლაც შემოვიდა, მაგრამ, მკაცრი კონტროლის უქონლობის გამო, არც ერთი სადგური, ქვესადგური თუ ელექტროგადამცემი ხაზი ბოლომდე არ გარემონტდა. ამ თანხის საკმაოდ სოლიდური წილის ხარჯვის მიზანმიმართულობა კი სამართალდამცველების ეჭვებს დღესაც იწვევს;

5. მსოფლიოში არ არსებობს წამგებიანი ელექტროსადგური, მით უმეტეს, იმ ქვეყანაში, სადაც დენი დეფიციტური საქონელია. არსებობენ წამგებიანი ორგანიზაციები, რომლებიც წლიდან წლამდე მაღალი წრის ჩინოვნიკების მფარველობით ძარცვავენ დარგს და ქვეყანას (იხ. ზემოთ მოყვანილი ეკონომიური მაჩვენებლები).

ყოველივე ზემოთ დასახელებულ მიზეზთა გამო, მიმდინარე (2005-2006 წწ.) ზამთრის განმავლობაში კვლავ დაგვჭირდება იმპორტის განხორციელება, რაც ქვეყნიდან სოლიდური კაპიტალის გადინებას და დეფიციტის შენარჩუნებას ნიშნავს.

თუ ზემოთ ჩამოთვლილ მიზეზებთან ერთად, რუსეთის დუმის გადაწყვეტილებას (საქართველოსთვის გაზის საფასურის გაზრდის შესახებ) გავითვალისწინებთ, ზამთრის პირობებში ყოველთვიური დეფიციტი საშუალოდ 200-300 მილიონი კილოვატსაათის ტოლფასი იქნება. ასევე, მოსალოდნელია ელექტროენერგიის ტარიფის (1 კილოვატსაათის ღირებულება) გაზრდაც, რის გამოც სერიოზულად დაზარალდებიან როგორც მეწარმეები, ასევე მოსახლეობა. ყოველივე ამან დიდი უკმაყოფილება შეიძლება გამოიწვიოს, მით უმეტეს, იმ პირობებში, როცა "გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანია" მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გადახდას კომუნალური მრიცხველების მეშვეობით ახორციელებს, ახლა კი მალე მას "თელასიც" შეუერთდება.

რა შეიძლება მოჰყვეს ჰიდროელექტროსადგურების ნებისმიერ უცხოელ ინვესტორზე განკერძოებას?

პირველი ვარიანტი:

უახლოეს მომავალში, ვიდრე ელექტროენერგიის ყიდვა-გაყიდვის საკითხი არ მოწესრიგდება, ნებისმიერი მესაკუთრე დაზარალდება, რის გამოც მფლობელი იძულებული იქნება, სადგური გააჩეროს (ამგვარი ფაქტები აქამდე გაყიდული სადგურების მაგალითზე უკვე გვაქვს), რაც პროფესიონალი ენერგეტიკოსების კვლავ სამუშაოდან დათხოვნას და ქვეყანაში ენერგოკრიზისის გამწვავებას გამოიწვევს.

მეორე ვარიანტი:

სადგურების კერძო მფლობელები ელექტროენერგიას გამოიმუშავებენ, მაგრამ იმის გამო, რომ ქართული მხარე საფასურს არ გადაიხდის, გაყიდიან საზღვარგარეთ.

მესამე ვარიანტი:

დროთა განმავლობაში (2-3 წელი) გამანაწილებელი კომპანიებიც გაიყიდება, ბოლოს და ბოლოს, ბაზარიც მოწესრიგდება, თუმცა, შესაძლებელია კვლავ შემცირდეს ადგილობრივი კადრები, მოიმატებს 1 კილოვატსაათის სატარიფო ღირებულება და, შესაბამისად, ვალუტის საზღვარგარეთ გადინებაც გაიზრდება.

ერთი სიტყვით, ყველა შემთხვევაში ქვეყანა დაზარალებული აღმოჩნდება.

**დასკვნა:**

1) ისეთ პატარა ენერგოსისტემას, როგორიც საქართველოს გააჩნია, დამატებით დაქუცმაცება აღარ სჭირდება;

2) რეალური საბაზრო მექანიზმის ჩამოყალიბება ადგილობრივი ძალების საშუალებით გაცილებით მომგებიანი და გონივრული ნაბიჯია;

3) ახალი ენერგოსიმძლავრეების დადგმა და ქვეყნის ენერგოპოტენციალის ათვისება აუცილებელია;

4) ენერგეტიკის დარგის შემოსავლები ქვეყნის ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთი მთავარი წყარო უნდა გახდეს;

5) მსოფლიოში მოსალოდნელი ენერგორესურსების თანდათან შემცირების გამო, და ასევე, ეკოლოგიური პრობლემების გათვალისწინებით, საქართველოში ჰიდროენერგეტიკის განვითარებას ალტერნატივა არ გააჩნია.

ელექტროენერგიის მოხმარების სტრუქტურა:




*ა) ელ. ენერგიის მოხმარების სტრუქტურა 1990 წელს.*




*ბ) ელ. ენერგიის მოხმარების სტრუქტურა 2004 წელს.*

# საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის ცენტრალურ სადისპეტჩეროში მართვის ფარის დამონტაჟებაზე პრეტენზიას ოთხი კომპანია აცხადებს

ცენტრალურ სადისპეტჩეროში უახლესი ტექნოლოგიის ე.წ "სკადას" სისტემის მართვის ფარის დამონტაჟებაზე პრეტენზიას ოთხი უცხოური კომპანია აცხადებს. როგორც საბითუმო ბაზრის მხარდამჭერი პროექტის კოორდინატორმა თემურ ჯუღელმა განაცხადა, მართვის ფარის დამონტაჟების უფლების მოსაპოვებლად შვეიცარული კომპანია ABB, ფრანგული "არევა", "სიმენსის" ავსტრიის ოფისი და "ჯენერალ-ელექტრიკისა" და "ალკატელის" კონსორციუმი იბრძვიან.

"კონკურსში მონაწილე კომპანიები ვალდებულნი არიან, "სახელმწიფო ელექტროსისტემაში" შექმნილ კომისიას ტექნიკური წინადადებები 16 სექტემბრამდე წარუდგინონ. კომისია კონსულტანტებთან ერთად ამ წინადადებებს დაამუშავებს და ანგარიშს მსოფლიო ბანკის სათავო ოფისში გადააგზავნის. კონკურსის მეორე ეტაპი კომპანიების მიერ წარმოდგენილი ფინანსური წინადადებების შეფასებას ითვალისწინებს. მეორე ეტაპზე მხოლოდ ის კომპანიები გავლენ, რომლებიც კონკურსის პირველ საფეხურს წარმატებით გაივლიან," - განაცხადა ჯუღელმა.

მისივე თქმით, კონკურსის საბოლოო შედეგები 2005 წლის ბოლოს გახდება ცნობილი, რათა გამარჯვებულმა კომპანიამ სამონტაჟო სამუშაოების დაწყება 2006 წლიდან შეძლოს. "სკადას" სისტემის მართვის ფარი ცენტრალურ სადისპეტჩეროს 2007 წლის ბოლოს, ან 2008 წლის დასაწყისში ექნება.

უახლესი ტექნოლოგიის, ე.წ. "სკადას" სისტემის მართვის ფარის დამონტაჟებას მსოფლიო ბანკისა და გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (KfW) მიერ დაფინანსებული, "საქართველოს ენერგეტიკის საბითუმო ბაზრის მხარდამჭერი პროექტი" ითვალისწინებს. მართვის ფარის შეცვლასთან ერთად, პროექტის ფარგლებში, მაღალი ძაბვის ქვესადგურების გამრიცხველიანება და სისტემაში კავშირგაბმულობის რეაბილიტაცია იგეგმება.

"სკადას" სისტემის დახმარებით, მართვის ფარზე ინფორმაცია ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის, ან სატელიტის მეშვეობით შევა. სისტემა მთლიანად კომპიუტერიზებული იქნება.

"ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის მხარდამჭერი პროექტი" მსოფლიო ბანკმა 2001 წლის დასაწყისში დააფინანსა, თუმცა, პარლამენტმა ბანკთან გაფორმებული ხელშეკრულების რატიფიკაცია 2002 წლის აპრილში მოახდინა. მსოფლიო ბანკთან ერთად, პროექტს გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი აფინანსებს.

მსოფლიო ბანკმა ენერგოსისტემის რეფორმირებისთვის საქართველოს 27 მილიონი დოლარი უნდა გამოუყოს, ხოლო KfW-მ - 25 მილიონი გერმანული მარკა. "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას", სადაც "სკადას" სისტემის მართვის ფარი უნდა დამონტაჟდეს, 5 წლით ირლანდიული კომპანია ESBI Georgia მართავს.

# ბოლნისი. რვა თვე

ნანა ალავერდაშვილი

*იმ ხელისუფლების მიმართ, რომლის ქვეყნის სათავეში მოსვლას ხელი თავად შეუწყო, ხალხი, როგორც წესი, განსაკუთრებით მომთმენიც არის და მომთხოვნიც. ჩვენი ქვეყნის შემთხვევაში, უფრო - მომთხოვნი, რადგან წინა ხელისუფლების დროს დაგროვილ პრობლემებს, წვრილმანს თუ მსხვილმანს, საქართველოს მოსახლეობა უკვე წლების განმავლობაში ითმენს. რისი შეცვლა შეძლო ახალმა ხელისუფლებამ, ამჯერად ბოლნისის მაგალითზე ვნახოთ.*

ბოლნისის რაიონში 74339 ადამიანი ცხოვრობს; აქედან 14400 - ქართველი, 51600 - აზერბაიჯანელი, 3600 - სომეხი, 800 - ბერძენი, 600 - რუსი, კიდევ 339 - სხვა ეროვნებისა. ბოლნისის რაიონშიც ისევე, როგორც საქართველოს სხვა რაიონებში, პრობლემა ცოტა არაა. ბოლნისელები ამბობენ, რომ ხელისუფლება მათ თანდათან აგვარებს. მერვე თვეა, ბოლნისს ახალი გამგებელი ჰყავს. წლების განმავლობაში დაგროვილი პრობლემების ერთიანად გადაჭრას იგი არავის პირდება, მაგრამ იქაურებს გარკვეული იმედები უკვე გაუჩნდათ.

ბოლო რვა თვის განმავლობაში ბოლნისს ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის მიწოდების თვალსაზრისით შეფერხება არ ჰქონია. მოსახლეობას, რომელიც ახლო წარსულში თვეობით იყო ჩაბნელებული, დღეს 24-საათიანი ელექტრომომარაგება აქვს. ამ რვა თვის განმავლობაში რაიონში არ მომხდარა არც ერთი მნიშვნელოვანი კრიმინალური ფაქტი - ბოლნისის დღევანდელ გამგებელს, შს მინისტრის ყოფილ მოადგილე გიორგი არევაძეს რაიონის უსაფრთხოება პირად კონტროლზე ჰყავს აყვანილი.

სიღარიბე, უმუშევრობა და დაბალი შემოსავლები - ეს არის ის ძირითადი პრობლემები, რომელიც, გაეროს განვითარების პროგრამის 2001-2002 წლების ჰუმანური განვითარების ანგარიშის მიხედვით, საქართველოს, - შესაბამისად ბოლნისის მოსახლეობას, - ყველაზე მეტად აწუხებდა. დღეს ბოლნისის რაიონში დასაქმებული მხოლოდ მოსახლეობის 15 პროცენტია და რაიონის ხელმძღვანელობის საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებასაც ახალი სამუშაო ადგილების შექმნა წარმოადგენს.

პირველი ოქტომბრისათვის დასრულდება მუშაობა სპეციალურ სოციალურ-ეკონომიკურ პროექტზე. პრიორიტეტულ სფეროებად მომავალი სამეწარმეო პროექტების განხორციელებისთვის შეირჩა სოფლის მეურნეობის, კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის, ტურიზმის განვითარებისათვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა. ეს არის საუკეთესო გზა სერიოზული ინვესტიციების მოსაზიდად, რის გარეშეც ეკონომიკის განვითარება, ე.ი. სამუშაო ადგილების შექმნა, ჩვენგვარი პატარა ქვეყნისთვის, წარმოუდგენელია.

### ვიდრე დიდი პროექტები განხორციელდება

იქამდე, ვიდრე გრძელვადიანი პროექტები განხორციელდება, მოსახლეობა მაქსიმალურად დასაქმდება, საკმარის შემოსავლებს მიიღებს და სიღარიბეს დაძლევს, ხელისუფლება მოსახლეობას პრობლემების მოგვარებაში სხვადასხვა პროგრამით ეხმარება. რაიონში უკვე აღარც სახელფასო დავალიანებები არსებობს და აღარც ხელფასების დაგვიანების პრაქტიკა; აღარც იქაურ 1050 პენსიონერს უწევს კუთვნილი თანხის ასაღებად რიგებში თვეობით დგომა - პენსია ბოლნისის რაიონში ახლა ყოველგვარი შეფერხების გარეშე, ყოველთვიურად გაიცემა. წლების განმავლობაში დაგროვილი საპენსიო დავალიანებაც სრულად არის დაფარული.

ეს, ერთი შეხედვით მექანიკური ცვლილება, ჩვენი საზოგადოების ყველაზე უმწეო და ღარიბი ნაწილისთვის - პენსიონერებისთვის, რომელთა შემოსავალიც, ყველა საერთაშორისო კვლევის მიხედვით, სწორედ პენსიაზეა დამოკიდებული, უმნიშვნელო ნამდვილად არა არის. მოხუცებისადმი რაიონის ხელმძღვანელობის განსაკუთრებული დამოკიდებულების მაგალითად, შეიძლება, თავშესაფარი "ჭალარა" მოვიყვანოთ. 98500 ლარი - ეს თანხა ამ თავშესაფრისთვის ბოლნისის ბიუჯეტმა მარტო ბოლო რვა თვეში გამოყო, რითაც არა მარტო "ჭალარაში" მცხოვრებ რვა მოხუცებულს გაუუმჯობესდა ცხოვრების პირობები, კიდევ 400 გაჭირვებულ ადამიანს მიეცა ყოველდღე უფასოდ კვების საშუალება.

გარდა ასაკით პენსიონერებისა, ბოლნისს სხვა 282 პენსიონერიც ჰყავს, 18 წლამდე ინვალიდების, მარტოხელა მოხუცების, უსინათლოებისა და უდედმამო ბავშვების სახით. ყოველთვიური დახმარების პროგრამით, ამ ადამიანებს 22 ლარი ეძლევათ. რაიონის ბიუჯეტი აფინანსებს ერთჯერადი დახმარებების პროგრამასაც, რომლის ფარგლებშიც თანხის მიღება ბოლნისის რაიონის მკვიდრთ, საჭიროების შემთხვევაში, უპრობლემოდ შეუძლიათ. მარტო ბოლო რვა თვის განმავლობაში ასეთი დახმარება, ჯამში 140030 ლარი, 1627 ადამიანზე გაიცა. მსგავსი პროგრამა წინა ხელისუფლებასაც ჰქონდა, მაგრამ იგი არც ასე მოცულობითი იყო და არც ასე ხელმისაწვდომი რიგითი მოქალაქეებისთვის.

ბოლნისის რაიონმა მოახერხა და ახლა, კიდევ ერთი ინიციატივის სახით, პედაგოგებს, მრავალშვილიან და რეპრესირებულთა ოჯახებს დახარჯული ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის საფასურს უხდის. ამასთან, იმ პედაგოგებს, რომლებიც რაიონის სხვადასხვა სოფელში ასწავლიან, ხელფასზე დანამატის სახით, მგზავრობისთვის საჭირო თანხა ეძლევა. იმ დროს, როცა ოჯახის ბიუჯეტის 70 პროცენტს, ქვეყნის მოსახლეობის დაბალშემოსავლიანი ნაწილი ჯერ ისევ კვებაზე ხარჯავს, მაქსიმალურად მომჭირნეა ბუნებრივ აირის, ელექტროენერგიის გამოყენებისას, ცდილობს ახლო მანძილები ფეხით დაფაროს, რაიონის ხელმძღვანელობის ეს ინიციატივა დროულია.

გაეროს განვითარების პროგრამის ზემოთ მოყვანილ ანგარიშში ხაზგასმული იყო, რომ საქართველოს მოსახლეობის ძირითად ნაწილს ხელი არ მიუწვდება სამედიცინო მომსახურებაზე; რომ ადამიანები მაშინაც კი არ მიმართავენ ექიმს, როცა იციან, რომ ეს აუცილებელია. მიზეზი უფულობაა. შეიძლება ითქვას, რომ ბოლნისის რაიონში ეს პრობლემა გარკვეულწილად გვარდება. ბოლო რვა თვეში, რაიონის ბიუჯეტმა 150 მოქალაქის სამკურნალოდ 150000 ლარი გადარიცხა; სპეციალურ ტენდერში გამარჯვებულმა სამედიცინო ფირმამ 8000 მოქალაქეს უფასო სამედიცინო გამოკვლევა ჩაუტარა. სულ, სხვადასხვა სამედიცინო პროგრამაზე დახარჯულმა თანხამ 801000 ლარი შეადგინა.

### ინფრასტრუქტურის წელიწადი

2005 წლის 13-15 ივნისს მომხდარმა სტიქიურმა უბედურებამ, წვიმამ, სეტყვამ და ქარიშხალმა ბოლნისში მცხოვრები 62 ოჯახი დააზარალა: სახლებს გადახადა საფარი და დაანგრია ღობეები. სპეციალურმა კომისიამ ზარალი დაითვალა და 62-ივე ოჯახის დასახმარებლად ბიუჯეტიდან 40000 ლარი გამოიყო. სახლების რეაბილიტაციისთვის საჭირო სამშენებლო მასალები და თანხები თავად დაზარალებულებს დაურიგდებათ. იმ ოჯახებს რომლებსაც, უმწეო მდგომარეობის გამო, ხელოსნის მოძიებაც არ შეუძლიათ, რაიონის ხელმძღვანელობა საჭირო მუშა-ხელსაც თავად აუყვანს და მათ მიერ შესრულებულ სამუშაოსაც თავად გააკონტროლებს.

რაიონის იერ-სახის გაუმჯობესება, ინფრასტრუქტურის განვითარება, გზების მოწესრიგება ბოლნისშიც ისევე, როგორც მთელს საქართველოში პრიორიტეტად ითვლება. ამ მიმართულებით ბოლო რვა თვის განმავლობაში ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს: შეკეთებულია საავტომობილო გზების მნიშვნელოვანი ნაწილი, როგორც ცენტრალურ უბნებში, ისე შიდა გზებსა და სოფლებში; ქალაქში მოპირკეთდა ტროტუარები, გაკეთდა გარე განათებები; რაიონში დაიდგა საქართველოს მთლიანობისათვის დაღუპულ და დაკარგულ მებრძოლთა ორი მემორიალი. უახლოეს მომავალში ქალაქში მთლიანად შეიცვლება ასფალტის საფარი და შენობების ფასადები.

ამ რვა თვის განმავლობაში ბოლნისის რაიონში მოეწყო ავტობუსის გაჩერებები, რომელთა ფუნქცია ხალხს უკვე აღარც ახსოვდა. პარალელურად, მოიხსნა კიდევ ერთი პრობლემა: წლების განმავლობაში, ბოლნისელებს, ფაქტობრივად, არ ჰქონდათ რაიონის შიგნით გადაადგილების საშუალება, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე კერძო სამარშუტო ტაქსს, რომელიც იმდენად ძვირი იყო, მოსახლეობას ფეხით გადაადგილება ერჩივნა. ახლა ბოლნისის რაიონის ცენტრალურ მაგისტრალზე დადის ორი ჰოლანდიური ავტობუსი და მათი ფასი - 20 თეთრი - ყველასათვის ხელმისაწვდომია. უახლოეს ხანში, პერიფერიებში სამოძრაოდ, კიდევ რამდენიმე ავტობუსის შეძენაა დაგეგმილი.

ბოლნისის რაიონის ხელმძღვანელობამ მოახერხა რაიონის სასმელი და სარწყავი წყლის სისტემების რეაბილიტაცია. ეს პრობლემა მოსახლეობას ათეული წლის განმავლობაში აწუხებდა. დღეს სასმელი წყლით უკვე 10 სოფელია უზრუნველყოფილი. ამასთან: სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა რაიონში არსებულ თითქმის ყველა საბავშვო ბაღს, სამი მათგანი კაპიტალურად შეკეთდა; კაპიტალურად შეკეთდა რვა საშუალო სკოლა; იმდენივეს კიდევ, სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა; ახალი სასწავლო წლისათვის შეკეთდა და დამზადდა სასკოლო ინვენტარი; კაპიტალურად შეკეთდა პოლიციის, ცენტრალური საავადმყოფოს შენობები.

### ბოლნისის "სიონი" პირველია

ამ რვა თვის განმავლობაში ბოლნისის რაიონში აშენდა რამდენიმე ახალი სპორტული დარბაზი, არსებულები კი შეკეთდა. სპორტს, ჯანსაღ ცხოვრებას რაიონის ხელმძღვანელობა პრიორიტეტების რიგში ერთ-ერთ პირველ ადგილზე აყენებს. ამას ის ყურადღებაც ადასტურებს, რომელსაც პირადად გიორგი არევაძე ბოლნისის "სიონის" მიმართ იჩენს. ბოლნისელები ფეხბურთის დიდ გულშემატკივრებად ითვლებიან, შესაბამისად, ბოლნისის "სიონი" ის "თემაა", რომელიც ყველა ბოლნისელს ძალიან აინტერესებს. დღეს მათ საამაყოდ აქვთ საქმე - თუ გასულ წელს "სიონი" ბოლოდან პირველ ადგილზე იყო, ახლა სატურნირო ცხრილში საპატიო პირველი ადგილი უკავია.

უყურადღებობას რაიონის ხელმძღვანელობას ვერც სპორტის სხვა სახეობის წარმომადგენლები უსაყვედურებენ. ბოლო რვა თვის განმავლობაში ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ჩატარდა არა ერთი სპორტული ტურნირი; ბოლნისელმა სპორტსმენებმა თითქმის ყველა გასვლით ჩემპიონატსა და ტურნირში მიიღეს მონაწილეობა. ამჟამად, რაიონის გამგეობის დაფინანსებით, ქობულეთში ფიზიკურ მომზადებას გადიან ბოლნისელი ფრენბურთელები, ფეხბურთელები, მოჭიდავეები და ძიუდოისტები. აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ რაიონის ახალმა ხელმძღვანელობამ ძიუდოთი ბოლნისელი ქალების აქტიური დაინტერესებაც შეძლო.

ახალგაზრდების გააქტიურებას ბოლნისის რაიონი ნამდვილად არ უჩივის. რაიონში წარმატებით ჩაიარა საშემოდგომო გაწვევამაც. სამხედრო სამსახურმა გეგმას გადააჭარბა კიდეც და სამხედრო სამსახურის მოსახდელად 72 წვევანდელი გააგზავნა. ბოლნისელებს არც რეზერვისტთა ბანაკში წასვლაზე უთქვამთ უარი - 60-მა ახალგაზრდამ მომზადება საჩხერის რეზერვისტთა ბანაკში გაიარა. უახლოეს დღეებში რაიონის ხელმძღვანელობა იმ სამხედრო ნაწილებს მონახულებს, სადაც წარმოშობით ბოლნისელები მსახურობენ. ხელცარიელი მათთან არავინ ჩავა. ბოლნისელი ჯარისკაცებისთვის სამხედრო ნაწილებში საჩუქრების ჩატანაა დაგეგმილი.

### კარგი სწავლა და დასვენება

ბოლნისის რაიონს დღეს სამი სტიპენდიანტი ყავს: ორი სპორტსმენი და ერთი მუსიკოსი. ყველა ოჯახს უნდა, შვილს შესაბამისი განათლება მისცეს, თუმცა ამას ყველა ვერ ახერხებს - ცოდნის მისაღებად, არცთუ იშვიათად, საფასურის გადახდაცა საჭირო. მიმდინარე წელს რაიონის გამგეობამ 105 ბოლნისელ სტუდენტს გადაუხადა უმაღლეს სასწავლებელში სწავლის საფასური. რაიონის ხელისუფლება ახალგაზრდების კულტურულ დასვენებაზეც ფიქრობს. გარდა იმისა, რომ კაპიტალურად შეკეთდა ბოლნისის, კაზრეთის, რაიონის სოფლების კულტურის სახლები, ტარდება ღონისძიებები, ჩამოყალიბდა საზოგადოებრივი განვითარების ცენტრი, რომლის დანიშნულებაც ამ კუთხით მუშაობაა.

განვითარების ცენტრში ფუნქციონირებს თოჯინების თეატრი, რომელიც ჩვენებებს, ანშლაგით, სხვა ეთნოსებით დასახლებულ სოფლებშიც მართავს. ცენტრში სისტემატიურად ტარდება შემოქმედებითი საღამოები. მათ შორის ქორეოგრაფიული ანსამბლ "ბოლნისელისა", რომელშიც 60 ბავშვი ცეკვავს. ახალი საცეკვაო ფორმები ამ ანსამბლმა რაიონის ახალი ხელმძღვანელობისგან სულ ახლახანს მიიღო. შეიძლება, მათი კონცერტი იმ გრანდიოზულ კულტურისა და დასვენების პარკშიც გაიმართოს, რომლის გახსნაც ბოლნისში უახლოეს მომავალში იგეგმება; ამის შესახებ რეპორტაჟი კი იმ რადიოთი გადაიცეს, რომლის დაფუძნებასაც ბოლნისის ხელმძღვანელობა ასევე აპირებს.

13-წლიანი პაუზის შემდეგ, რამდენიმე თვეა, ბოლნისში ფუნქციონირებს კინო-თეატრი, სადაც უფასო კინოჩვენება დღეში ორჯერ ეწყობა. ბოლნისის რაიონის ხელმძღვანელობას კინო-თეატრი იჯარით ჰქონდა აღებული, მაგრამ ქვეყნის პრეზიდენტის მიერ ამ ცოტა ხნის წინათ გაკეთებულმა განცხადებამ "ქართული ფილმისათვის" კინო-თეატრების ჩამორთმევისა და მათი ადგილობრივი ხელისუფლებისთვის გადაცემის შესახებ, ბევრი რამ შეცვალა. დღეს რაიონის ხელმძღვანელობა ახალი სასწავლო წლისათვის კინოჩვენებებზე მოსწავლეების აქტიურ, უფასო დასწრებასა და ეკრანზე იმ ფილმების გაშვებაზე ფიქრობს, რომელთა ხილვაც მათ განვითარებას წაადგება.

### ყველაზე დიდი პრობლემა

არავინ, მათ შორის არც რაიონის ხელმძღვანელობა, უარყოფს, რომ მოსაგვარებელი უამრავი პრობლემა რჩება. მათ შორის ნომერი პირველი ბოლნისელთა ჯანმრთელობისათვის საშიში ეკოლოგიურად დაბინძურებული გარემოა, რომელიც 15 წელია, არსებობს და რომლის მოგვარებაც ვერც რვა თვეში და ვერც წელიწადში ვერ მოხერხდება. და მაინც, მის გადაჭრას ბოლნისის გამგებელი პრეზიდენტსა და მოსახლეობას მოკლე ხანში ჰპირდება.








საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია გაცნობებთ, რომ საქართველოს პარლამენტის 2003 წლის 2 ნოემბრის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების 2005 წლის 1 ოქტომბერს ჩასატარებელი ხელახალი და შუალედური არჩევნებისთვის, N5 ისნის, N57 ტყიბულის, N79 ბათუმის, N81 ქობულეთის, N82 შუახევის საარჩევნო ოლქების საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა სია გამოქვეყნებულია ცენტრალური საარჩევნო კომისიის ვებ-გვერდზე, www.cec.gov.ge

# საქართველოს სანაპიროს ინტეგრირებული მართვის პროექტი

**ტენდერი ნომერი GICMP-SW-07**

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საკონფერენციო დარბაზის რემონტი

მსოფლიო ბანკის დაფინანსებით მიმდინარე "საქართველოს სანაპიროს ინტეგრირებული მართვის პროექტი" იწვევს სატენდერო წინადადებებს **"საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საკონფერენციო დარბაზის რემონტის"** შესასრულებლად, რომელიც მოიცავს შემდეგს: სადემონტაჟო და სარემონტო სამუშაოები, ელექტროობა, გათბობა-კონდიცირება, ინტერიერის მოწყობა დიზაინერული პროექტის შესაბამისად, ავეჯისა და სახელმწიფო ატრიბუტების მოწოდება-მონტაჟი. დარბაზის ფართობია 90 კვ. მეტრი.

დაინტერესებულ ორგანიზაციებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შეუძლიათ ქვემოთ მითითებულ მისამართზე, აგრეთვე ელექტრონული ფოსტით. წინადადებები წარმოდგენილი უნდა იყოს ამ მისამართზე არაუგვიანეს 2005 წლის 10 სექტემბრის 18 საათისა. მისამართი: სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის ცენტრი, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, თბილისი, გულუას 6, მე-6 სართული, ელფოსტა: PHASiS@ICZM.org.ge ინტერნეტი: www.ICZM.org.ge მობილური: (99) 54-66-16.

*ფეხბურთი*

## სფფ-ში რევოლუცია მთავრდება

მიხეილ აბაიშვილი

დღეს, 30 აგვისტოს, სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში" გაიმართება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის რიგგარეშე ყრილობა, რომელიც ფედერაციის ახალი ხელმძღვანელობის რევოლუციურ ცვლილებებს დააფინიშებს. განსახილველია სამი საკითხი:
1. სფფ-ს წესდების ახალი რედაქციის დამტკიცება.
2. სფფ-ს აღმასკომის წევრების არჩევა;
3. სხვადასხვა.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს, ნოდარ ახალკაცს არ დაუმალავს, რომ აღმასკომის წევრების არსებული რაოდენობა (22) მას გადამეტებულად მიაჩნია. ახალკაცის თქმით, ეს ორგანო გაცილებით ქმედუნარიანი და მოქნილი უნდა გახდეს, რის გამოც, აღმასკომის წევრთა რაოდენობა უნდა შემცირდეს. სფფ-ს პრეზიდენტის აზრით, ოპტიმალური იქნება აღმასკომის წევრთა რიცხოვნება 8-დან 11-მდე შუალედში განისაზღვროს. ასეთ შემთხვევაში, უნდა შეიცვალოს აღმასკომის წევრთა შერჩევის პრინციპიც. ძველი წესის მიხედვით, უმაღლესი ლიგის თითოეული კლუბი აღმასკომში ერთი წევრით იყო წარმოდგენილი.

არანაკლებ საინტერესო იქნება მესამე საკითხი, რომელიც ყრილობის პროგრამაში "სხვადასხვას" სახელით არის შესული. როგორც ცნობილია, ამ საკითხის განხილვისას ნოდარ ახალკაცი ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტების პოსტებზე საკუთარ კანდიდატურებს დაასახელებს. არ არის გამორიცხული, ნოდარტ ახალკაცმა სამიდან ერტი ვიცე-პრეზიდენტის პოსტი სულაც გააუქმოს. შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ სფფ-ს ექსპრეზიდეტნის, მერაბ ჟორდანიას გუნდის წევრმა, რომან შოთაძემ საკუთარი სურვილით მოიხსნა სფფ-ს ვიცე-პრეზიდენტის უფლებამოსილება. დღესდღეობით, ფედერაციას კიდევ ორი ვიცე-პრეზიდენტი ჰყავს - ალექსანდრე ჩივაძე და რევაზ არველაძე. არსებული ინფორმაციით, ვერც ერთი მათგანი ვერ შეინარჩუნებს ამ პოსტს.

*ფორმულა 1*

## „ფერარი" და შუმი „მონცაზე" ვალის გადასახდელად ემზადებიან

*სამეფო რბოლების იტალიური საჯინიბოს პირმშოს "ფერარის" წლეულს აშკარა ჩავარდნა აქვს. თუ აქამდე სკუდერიელთა ბრწყინვალე შედეგები იქცევდა ყურადღებას, ახლა მათდამი მზერა უფერული შედეგებითაა გამოწვეული და არა მარტო. მათდამი ყურადღება იმანაც გაამძაფრა, რომ საჯინიბოს ბრაზილიელ მრბოლს მობეზრდა შუმახერის ჩრდილქვეშ ყოფნა, რომელმაც საშველად ბარელებს მიმართა, რომლის ღირსებასაც გაისად დაიცავს კიდეც. და მაინც, რას ფიქრობს ყოველივეზე მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი მიხაელ შუმახერი? ამის გარკვევაში ცნობილი ავსტრიელი ჟურნალისტი ჰაინც პრიულერი დაგვეხმარება, რომელმაც ახლახანს დიდი ჩემპიონს ინტრევიუ ჩამოართვა, რომლის შემოკლებულ ვარიანტსაც გთავაზობთ კიდეც.*



*შუმი და ბარიკელო ახალ სეზონში ერთმანეთს ხმალამოღებული შეებრძოლებიან.*

**- თქვენი წარუმატებლობის მიზეზი რაშია?**

- მანქანას სიჩქარე არ აქვს. აბსოლუტურად არ აქვს და ამ შემთხვევაში როგორ შეიძლება სწრაფად ვიარო? ძალა არ შემწევს რამე ვიღონო.

**- სტამბოლში ახალი ტრასის დებიუტი შედგა. როგორ უყურებთ იმას, რომ ყოველივე ძველი ტრასების "დიდი პრიზებიდან" ამოგდების ხარჯზე ხდება?**

- ერთი მხრივ, ძველ ტრასებზე გული მეთანაღრება. მეორე მხრივ - პროგრესის შეჩერება არ შეიძლება. ყველაფერი იცვლება და არა მარტო ავტოდრომები...

**- თანაგუნდელმა და მეგობარმა რუბენს ბარიკელომ თქვენი მიტოვება გადაწყვიტა. ამის გამო მასთან ურთიერთობას შეწყვეტთ?**

- წარმატებებს ვუსურვებ. მიუხედავად იმისა, რომ BAR-ში გადადის, დარწმუნებული ვარ, ჩვენ კვლავაც გავაგრძელებთ მეგობრობას. თუმცაღა ვწუხვარ, რომ რუბენსი ჩვენგან მიდის, მაგრამ მის გადაწყვეტილებასაც უნდა ვცეთ პატივი. ვნახოთ, რა გამოუვა ახალ გუნდში.

**- და მაინც, რაშია ბარიკელოს მხრიდან, როგორც ამას ბევრნი მიიჩნევენ, გადასვლის ნაჩქარევი გადაწყვეტილების მიზეზი?**

- მიჭირს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა... მას "ფერარისთან" კიდევ ერთწლიანი ხელშეკრულება აკავშირებდა. ხელმძღვანელობასაც კარგი დამოკიდებულება ჰქონდა. ბევრი მრბოლი არაა ასეთი ყურადღებით განებივრებული, როგორც ეს მის შემთხვევაში იყო.

**- მაგრამ თავად ბარიკელო ამბობს, რომ "ფერარიში" ის ნომერ 1B-ა. უფრო სწორად, მეორე ნომერი. მის ადგილზე როგორ მოიქცეოდით?**

- მის ადგილზე არ ვიმყოფები...

**- იცით, რატომ მიიღო ასეთი გადაწყვეტილება?**

- ბოლომდე არა. მან "ფერარიში" იცოდა, რომ იმ შემთხვევაში თუ ჩემპიონატის მოგებას ვერ შეძლებდა, "დიდ პრიზებზე" მაინც გაიმარჯვებდა. სხვა გუნდში კი ასეთი თავდაჯერებულობა არ ექნება.

**- რას აკერთებს "ფერარი" იმისთვის, რომ მსოფლიო ჩემპიონის წოდება დაიბრუნოს?**

- ძველის პარალელურად ახალ ძრავას ვცდით. საქმეები რომ ნორმალურად წასულიყო, საკუთარი ძალისხმევა ძველისთვის რომ მოგვეხმარა, ალბათ, უკეთესი შედეგები გვექნებოდა. ახლა კი იძულებული ვართ, მომავალზე მეტი ვიფიქროთ, ვიდრე აწმყოზე.

**- "ფერარიში" ფელიპე მასას აყვანის იდეაზე რას ფიქრობთ?**

- ის ძალზე ახალგაზრდაა და ეს დიდი პლუსია. "ზაუბერში" ფელიპემ დიდი გამოცდილება შეიძინა. საშუალება გვქონდა, მისთვის თვალ-ყური გვედევნებინა, რამდენადაც ჩვენი გუნდები ერთმანეთთან თანამშრომლობენ.

ერთი სიტყვით, ის ჩემთვის კარგი პარტნიორი იქნება.

**- ალონსოს 40 ქულით ჩამორჩებით, წინ კი ხუთი რბოლაა დარჩენილი. თეორიულად შეგიძლიათ ჩემპიონატის ლიდერს დაეწიოთ, მაგრამ პრაქტიკულად ეს შეუძლებლად მოჩანს. ამასობაში, გამოდის, რომ ეს ჩემპიონატი ამ ასწლეულში პირველი იქნება, რომელშიც პირველი ადგილის გარეშე რჩებით...**

- ახლა ამაზე ფიქრისთვის არ მცხელა. გუნდი მონცასთვის ემზადება ("იტალიის დიდი პრიზი". 4 სექტემბერი. რედ.). ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ შინაური რბოლა გადავარჩინოთ - ნახევრად მაინც.

**- იმიტომ რომ ენცო ფერარი ყოველთვის ამბობდა: "მონცაზე გამარჯვება იმდენადვე ფასობს, რამდენადაც ჩემპიონის ტიტულის დაუფლება?"**

- დაახლოებით ასეა. გარდა ამისა, მიმდინარე სეზონში "ფერარის" გულშემატკივრებთან ვალში ვართ. ზუსტად შესაფერი დროა იმისთვის, რომ ცოტათი მაინც გავახაროთ.

# ვაკანსიები

კომპანია "ბი-პი"-ს მილსადენების პროექტების მიზნებისათვის და "ბი-პი"-ს უშუალო ხელმძღვანელობით, შპს "IRA" კონკურსზე იწვევს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირებს **საველე უსაფრთხოების ოფიცრის** და **ხარჯთაღრიცხვის ბუღალტრის** თანამდებობების დასაკავებლად. **საველე უსაფრთხოების ოფიცერი** და **ხარჯთაღრიცხვის ბუღალტერი** წარმოადგენენ საქართველოში "ბი-პი"-ს მილსადენების მშენებლობის პროექტის კონტრაქტორ მესამე მხარეს, რომელიც იმუშავებს "ბი-პი"-ს ხელმძღვანელობის ქვეშ.

**საველე უსაფრთხოების ოფიცერი**

**სამუშაოს აღწერილობა:**

დაქირავებული პირი, დროის უდიდეს ნაწილს, გაატარებს ველზე და მისი მოვალეობა იქნება უსაფრთხოების უზრუნველყოფა, მონიტორინგის წარმოება და არსებული წესების დაცვა. ამასთან ის ვალდებული იქნება, ყოველდღიური ანგარიში წარუდგინოს სამშენებლო საველე გუნდს, უზრუნველჰყოს უსაფრთხოების მართვის სისტემის მუშაობა, ხელი შეუწყოს BP-ის ჯანმრთელობის დაცვისა და უსაფრთხოების (H&S) მოთხოვნათა დაცვას. საველე უსაფრთხოების ოფიცერმა უნდა აჩვენოს, რომ მზად არის დაიცვას ყველა კანონი და განსაკუთრებით უნდა შეუწყოს ხელი კომპანიის თანამშრომელთა და კონტრაქტორთა H&S-ის უნარჩვევების განვითარებას და ამაღლებას. ასევე მუდმივად უნდა მუშაობდეს თანამშრომლებთან ყველა დონეზე უსაფრთხოების კულტურის განვითარებაზე.

**მოვალეობები და ვალდებულებები**

კონკრეტული მოვალეობები გულისხმობს, მაგრამ არ შემოიფარგლება მხოლოდ შემდეგით:

დახმარების გაწევა უსაფრთხოების დაცვის კულტურის ჩამოყალიბებაში, რაც თავისთავად H&S-ში წარმატების მიღწევის საფუძველი იქნება

- რჩევის მიცემა და დახმარების გაწევა ყველნაირი საქმიანობებისას, რათა თანაბრად იქნას დაცული უკვე დაწესებული უსაფრთხოების პირობები, ლეგალური მოთხოვნები და BP-ის შიდა სტანდარტები

დახმარების გაწევა BP-ის ჯანმრთელობისა და უსაფრთოების წესების განხორციელებისას

- კონტრაქტორის მიერ განხორციელებულ უსაფრთხოების პროგრამების და საქმიანობების შეფასება მონიტორინგში მონაწილეობა, იმის გასარკვევად, რომ ისინი აკმაყოფილებენ BP-ის სტანდარტებსა და მოთხოვნებს.

უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინფრომაციის მიწოდებისა და კომუნიკაციის დამყარების საშუალებების უზრუნველჰყოფა, ასევე უსაფრთხოების შესახებ ინფორმაციის მიწოდებისათვის განხორციელებული კამპანიების განვითარების მხარდაჭერა

- საშინაო და საგარეო უსაფრთხოების საკითხებზე ანგარიშების შედარება და მომზადება, ისე რომ განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს სამშენებლო საველე კადრების ყოველდღიური საქმიანობების უსაფრთხოების მენეჯმენტზე

სამუშაო პროცედურის რისკის ანალიზში მონაწილეობა, მუშაობის დროს მომუშავე პერსონალის უსაფრთხოების დაცვის მიზნით

- უბედური შემთხვევის დროს გამოძიებასა და ანალიზის პროცესში აქტიური მონაწილეობა

უსაფრთხოების აუდიტის წარმოება რეგულარულად

- უსაფრთხოების ტრენინგებსა და დაკვირვების პროგრამებში აქტიური მონაწილეობა

საგანგებო მდგომარეობისას რეაგირების ტრეინინგებში დახმარების გაწევა და რეალურ საგანგებო სიტუაციებში მონაწილეობა. ამ მიზნით დაქირავებულ პირთან დაკავშირება ხელმისაწვდომი უნდა იყოს 24 საათის განმავლობაში

- მუდმივი მონიტორინგის წარმოება და ანგარიში ჩაბარება ყოველდღიური საქმიანობების შესახებ სამშენებლო საველე ჯგუფის, ისევე როგორც უსაფრთხოების მენეჯმენტთათვის

**მოთხოვნები:**

- მუშაობის გამოცდილება უსაფრთოების სფეროში, უპირატესობა მიენიჭებათ მათ, ვისაც უკვე უმუშავია პროექტში

უმაღლესი განათლება, სასურველია ტექნიკური განხრით

- ინგლისური, რუსული და ქართული ენების სრულყოფილად ფლობა

მართვის მოწმობა

- კომპიუტერული პროგრამების MS Word, Excel, PowerPoint, MS Outlook - ის კარგი ცოდნა

ინტერესი და სურვილი შეისწავლოს და განვითარდეს ჯნდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებში

- ადამიანებთან ურთიერთობის უნარი და გუნდური მუშაობის გამოცდილება

**ხარჯთაღრიცხვის ბუღალტერი**

**მოვალეობები და პასუხისმგებლობა:**

ხარჯთაღრიცხვის ბუღალტრის მოვალეობები და პასუხისმგებლობა მოიცავს, თუმცა არ იფარგლება შემდეგით:

**- ხარჯების კონტროლი**

ვალდებულებების კონტროლი და ანგარიშ-ფაქტურების სწორად გამოწერა დამტკიცებული ბიუჯეტის საფუძველზე, დანახარჯების კონტროლი ინდივიდუალური კონტრაქტების მიხედვით, კონტრაქტების ეტაპობრივი მოქმედების რეგულარულად შესწავლა.

**- შესრულებული სამუშაოს ღირებულება (VOWD)**

კონტრაქტის მფლობელთან ან კონტრაქტორთან ერთად პერიოდის ბოლოსთვის შესასრულებელი სამუშაოს საორიენტაციო ღირებულების (VOWD) განსაზღვრა, ფულადი სახსრების მოძრაობის ზრდის გასაანგარიშებლად.

**- ფინანსური ანგარიშები**

ყოველთვიური ანგარიშგება ბიუჯეტისა და ვალდებულებების, ვალდებულებებისა და დანახარჯების, ბიუჯეტისა და "დასრულებისას საბოლოო ღირებულების" ურთიერთშედარების შესახებ.

**- ბიუჯეტის შედგენა**

მონაცემების შეგროვება ფიზიკური სამუშაოს გეგმური გრაფიკის, ხარჯვის ფაქტობრივი ტიპებისა და მიმართულებების საფუძველზე, წლიური ბიუჯეტის პროგნოზირების მიზნით

**- ხარჯთაღრიცხვის შესრულების ანალიზი**

ხელფასების ფონდისა და საოფისე ხარჯების ანალიზი ხარჯების ცენტრთან მიმართებით, დროის ყოველთვიურ განაწილებათა საფუძველზე.

**- ანგარიშების ურთერთშედარება**

სისტემების და ანგარიშების ძირითად ფინანსურ საბუღალტრო სისტემასთან (SAP) ყოველთვიურად შესაბამისობაში მოყვანა და ბალანსის ყველა მუხლის კონტროლი და ურთერთშედარება.

**სამუშაო გამოცდილება და განათლება:**

სამუშაოზე აყვანის კანდიდატს უნდა გააჩნდეს შემდეგი უნარ-ჩვევები და კვალიფიკაცია:

უმაღლესი სასწავლებლის დიპლომი ან მისი ექვივალენტი ეკონომიკის და ფინანსების დარგში

- მინიმუმ ორწლიანი გამოცდილება საბუღალტრო ან ფინანსურ სფეროში

ქართული - მშობლიური ენა, ინგლისური და რუსული ენების სრულყოფილად ფლობა

- კომპიუტერთან სრულყოფილად მუშაობის უნარი

კანდიდატს უნდა გააჩნდეს თვითმოტივაციის უნარი და შეძლოს სხვადასხვა დიაპაზონის პრობლემების სწრაფი დიაგნოზირება, ანალიზი და გადაჭრა.

**დამატებითი ინფორმაცია/განაცხადის შემოტანის წესი**

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ, მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების საბოლოო ვადაა 2005 წლის 9 სექტემბერი, პარასკევი.

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

**ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც იმას არ გულისხმობს, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.**

**კადრების განყოფილება**
"ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია"
BP Georgia
საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქუჩა N38

# შპს "ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგური" აცხადებს აუქციონს

ბათუმის საზღვაო ნავსადგური იწვევს ჯართის შეძენაში დაინტერესებულ პირებს ჩამოწერილი და ექსპლოატაციიდან გამოყვანილი ორი მცურავი ერთეულის ჯართად რეალიზაციის მიზნით გამართულ აუქციონში მონაწილეობისთვის. სარეალიზაციო ობიექტის მონაცემებია:

| დასახელება | წონა (ტონა) | საწყისი ღირებულება (აშშ დოლ.) | ბიჯი (აშშ დოლ.) |
|---|---|---|---|
| [illegible] | 256,00 | 10 240,00 | 204,80 |
| [illegible] | 230,00 | 9 200,00 | 184,00 |
| | | | |

აღნიშნული მცურავი ერთეულები იმყოფება პორტის აკვატორიაში. ექსპერტის დასკვნის თანახმად მათი შემდგომი გამოყენება დანიშნულების მიხედვით შეუძლებელია. აუქციონზე გამარჯვებულს ევალება გაიტანოს მცურავი ერთეულები პორტის აკვატორიიდან ხელშეკრულების ხელმოწერიდან 15 დღის ვადაში.

**გამყიდველი**: შპს "ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგური".

**აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია:** საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს.

**აუქციონში მონაწილეობა, თანხის გადახდის ვადები და ვალდებულებები:**

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადახდილი ბეს სიდიდე არ უნდა იყოს საწყისი გასაყიდი ღირებულების 10 პროცენტზე ნაკლები. ბილეთის შესაძენი ფასი, რომელიც ფიზიკურ პირთათვის 10 ლარია, ხოლო იურიდიულ პირთათვის 20 ლარი, მონაწილის მიერ გადახდილი უნდა იქნეს სს "თი ბი სი ბანკი'-ს ბათუმის ფილიალში, ბანკის კოდი: მფო 220101835, ანგარიშის ნომერი 34700347.

თუ ყველა წარმოდგენილი დოკუმენტი აკმაყოფილებს მოთხოვნებს მონაწილე იღებს "მონაწილის ბილეთს", რის შემდეგაც იგი იძენს მონაწილის სტატუსს. პირმა, რომელსაც სურს მიიღოს მონაწილეობა ორივე მცურავი ერთეულის ჯართის სახით შეძენის ვაჭრობაში უნდა გადაიხადოს "ბე" თითოეულ ქონებაზე და წარმოადგინოს აუქციონში მონაწილეობის მისაღებად საჭირო დოკუმენტაცია თითოეულ სარეალიზაციო ქონებაზე ცალ-ცალკე. აღნიშნულის შემდეგ მას მიეცემა ცალკეული სარეალიზაციო ქონების აუქციონის მონაწილის სტატუსი.

მყიდველი ვალდებულია დამტკიცებული აუქციონის შედეგების ოქმის გაფორმებიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში გადაიხადოს მის მიერ აუქციონზე დასახელებული ობიექტის საბოლოო გასაყიდი ფასი. წინააღმდეგ შემთხვევაში მას არ მიეცემა საკუთრების უფლება ობიექტზე და ბეს შენატანი არ დაუბრუნდება. ბეს შენატანი არ დაუბრუნდება ასევე აუქციონის შედეგების ოქმზე ხელმოწერის უარის მთქმელ გამარჯვებულ მონაწილეს. თანხის გადახდა ხდება ეროვნულ ვალუტაში, გადახდის მომენტისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის კურსით.

**ინფორმაცია აუქციონის ჩატარების შესახებ:**

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება მიმდინარეობს ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა, 2005 წლის 29 აგვისტოდან 2005 წლის 29 სექტემბრის ჩათვლით, 10 საათიდან 17 საათამდე (შპს ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგური, ქ. ბათუმი, ქუთაისის ქ. N1, მეორე სართული, იურიდიული განყოფილება).

**აუქციონი გაიმართება** 2005 წლის 30 სექტემბერს დღის 12 საათზე, მისამართი: ქ. ბათუმი, გოგებაშვილის ქ.N11, მეორე სართული, ბათუმის ნავსადგურის საააქტო დარბაზი.

**აუქციონში მონაწილეობის მისაღებად აუქციონის კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:**

- დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი.

ბეს შეტანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი, აუქციონში მონაწილეობის მისაღებად შესაძენი ბილეთის საბანკო ქვითარი.

- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ქსეროასლი.

ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

- იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ ამონაწერს სასამართლოს სამეწარმეო რეესტრიდან, აგრეთვე, ქონების შეძენისა და აუქციონში მონაწილეობის თაობაზე უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილებას.

**გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები:**

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ყველაზე მაღალი ფასის დასახელება.

დამატებითი ინფორმაცია სარეალიზაციო ობიექტის შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ მისამართზე: ქ. ბათუმი, ქუთაისის ქ. N1, მეორე სართული, იურიდიული განყოფილება, ტელ: 74914.

შპს "ბათუმის საზღვაო
სავაჭრო ნავსადგური"

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვეტერინარიის დეპარტამენტი აცხადებს ტენდერს ქ. თბილისში 23-28 ოქტომბერს საერთაშორისო კონფერენციის ჩატარების მიზნით მოწვეული სტუმრებისა და კონფერენციაში მონაწილე პირთათვის სასტუმრო მომსახურების შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს. სატენდერო მომსახურება დაყოფილია შემდეგ ლოტებად:

1. I ლოტი - სტუმრების განთავსება 60 სასტუმრო ოთახში საუზმის გათვალისწინებით.

II ლოტი - სტუმრების განთავსება 40 სასტუმრო ოთახში საუზმის გათვალისწინებით.

III ლოტი - საკონფერენციო დარბაზით მომსახურებას 120 მონაწილეზე (კონფერენციის მსვლელობის დროს სადილითა და ორჯერადი კოფე-ბრეიკით უზრუნველყოფით).

IV ლოტი - კონფერენციის დახურვის დღეს ოფიციალური სადილის გამართვა 120 კაცზე.

ტენდერის შედეგად ლოტების მიხედვით შესაძლებელია ერთი ან რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა. ერთი სატენდერო წინადადება შეიძლება წარმოდგენილი იქნას ერთი ან რამდენიმე ლოტის სახით.

2. მიწოდების სავალდებულო ადგილი და ვადაა - ქ. თბილისი, 2005 წლის 23 ოქტომბრიდან 28 ოქტომბრამდე. მომსახურების დონე უნდა პასუხობდეს არანაკლოებ 4-ვარსკვლავიანი სასტუმროს სტანდარტებს.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები, ქართულ ენაზე, უნდა წარმოადგინონ 14 სექტემბრის 12 საათიდან 16 სექტემბრის 16 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარაშვილის 15 ა, მე-3 სართული.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1. იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობა შესაბამისი რაიონული სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია, აგრეთვე, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

დ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელი (ან ხელმძღვანელები) უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

4.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა, შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობა შესაბამისი რაიონული სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე.

4.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) შესაბამისი რაიონული საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მათ ბიუჯეტის წინაშე არ ერიცხებათ დავალიანება;

ბ) ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;

გ) ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ტენდერში მონაწილეობის მსურველს შესწევს უნარი განახორციელოს აღნიშნული სასტუმრო მომსახურების სრული პაკეტი.

5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ 2005 წლის 19 სექტემბრის 10 საათიდან 21 სექტემბრის 18 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარაშვილის 15 ა, მე-3 სართული.

7. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: დემნა ხელაია, მისამართზე: ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ. № 15 ა, ტელ: (8-22) 39-21-32; 8-99-55-61-52.

## უფასო კონცერტები ტურისტების მისაზიდად

ლონდონის მერიამ ტურისტულ ორგანიზაცია Visit London-თან ერთად მიიღო გადაწყვეტილება, ორგანიზება გაუწიონ ტაუერის ხიდზე უფასო კონცერტებს. პოპულარული შოტლანდიური ჯგუფი "ტექსასის" კონცერტი უნდა გახდეს ის ერთ-ერთი ღონისძიება, რომლის წყალობითაც მერია ახლახან განხორციელებული ტერორისტული აქტებით დაშინებული ტურისტების მიზიდვას შეძლებს. კონცერტი ხიდზე 6 სექტემბერს არის დაგეგმილი. ბრიტანეთის პოპულარული "ვირჯინ რადიო" საკონცერტო გამოსვლას პირდაპირ ეთერში გადასცემს.

## ჭეშმარიტი კულტურის გადასარჩენად

თურქმენეთის პრეზიდენტმა საფარმურად ნიაზოვმა ქვეყნის მასშტაბით მუსიკალურ-კულტურულ ღონისძიებებსა და სატელევიზიო გადაცემებში ფონოგრამის გამოყენება აკრძალა. შესაბამის განკარგულებას ნიაზოვმა ორშაბათს მოაწერა ხელი. მანამდე კი მთავრობის ერთ-ერთ სხდომაზე ქვეყნის პრეზიდენტმა კონკრეტული შენიშვნები გამოთქვა თურქმენეთის ნაციონალური ტელევიზიის მუშაობაში. პრეზიდენტმა მოითხოვა, დაიცვან ჭეშმარიტი კულტურული, მათ შორის, მუსიკალური ტრადიციები მათზე უარყოფითი ზეგავლენის მქონე უცხო ფაქტორებისგან.

**ფონდი**
**"ღია საზოგადოება-საქართველო"**
**და ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის განვითარების ფონდი**

**აცხადებს ერთობლივ კონკურსს**

**სოციალურ მეცნიერებებში**
**სამეცნიერო ლიტერატურის**
**ქართულ ენაზე სათარგმნელად**

*პროექტების შემოტანის ბოლო ვადაა:*
***2005 წლის 20 სექტემბერი,** სამშაბათი (17:00 სთ-მდე)*

კონკურსის პირობების შესახებ უფრო დეტალური ინფორმაციისათვის, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ:

**ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო"**
**ჭოველიძის ქ. 10 (ყოფილი ბელინსკის ქუჩა)**
**ტელ: 25 04 63 ან 25 05 92**
**ფაქსი: 29 10 52**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქობულეთის რაიონის გამგეობა (ქ. ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი №141) აცხადებს ღია ტენდერს ქალაქ ქობულეთში შენობების ფასადების შეღებვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები, ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 20 სექტემბრამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი №141.

3. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

3.1. იურიდიული პირებისათვის:

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) სასამართლოს დადგენილება შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;

გ) ცნობებს, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ გაკოტრებისა და სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

დ) ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს ნოტარიუსთა პალატიდან);

ე) ცნობა, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმატიზაციის სამმართველოდან).

3.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმატიზაციის სამმართველოდან);

გ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს რაიონული სასამართლოდან).

3.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) საქმის წარმოებაზე შესაბამისი ლიცენზია;

ბ) ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების წარმოების გამოცდილების შესახებ (სამუშაოების მითითებით, რომელიც შესრულებული იქნა მონაწილეობის მსურველი პირის მიმართ);

გ) ინფორმაცია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ (დამოწმებული აუდიტის მიერ);

დ) ცნობა შესაბამისი საგადასახადო ინსპექციიდან საფინანსო მდგომარეობის შესახებ;

ე) ინფორმაცია ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობებზე დასაქმებულ პირთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ.

4. ყველა საკვალიფიკაციო მონაცემი წარმოდგენილი უნდა იქნეს ერთი ეგზემპლარი ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, მე-2 ეგზემპლარი ქსეროასლის სახით.

5. ქართულ ენაზე შედგენილ განცხადებას ტენდერში მონაწილეობის შესახებ, საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან ერთად უნდა ახლდეს განმცხადებლის მიერ ხელმოწერილი წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნუსხა.

6. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს ყველა ცნობას და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

7. საკვალიფიკაციო შერჩევა მოხდება 2005 წლის 30 სექტემბრამდე წარმოდგენილი დოკუმენტების ზემოჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე. შერჩევის შედეგი სატენდერო კომისიის მიერ წერილობით ეცნობებათ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენ პირებს.

8. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 2005 წლის 20 სექტემბრის 17 საათამდე 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის (ბანკის კოდი 220101107, ანგარიში 502121272, კოდი 4040) გადახდის შემდეგ შეეძლებათ მისამართზე: ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი №141.

9. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ერთი სატენდერო წინადადება.

10. ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

11. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: სატენდერო კომისიის წევრი ბესიკ ბაქანიძე. ტელეფონი: 6-72-09, მისამართზე: ქ. ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი №141.

*სატენდერო კომისია*

# განცხადებები ჩატარებული ტენდერების შედეგების შესახებ

გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობამ ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით ჩაატარა დახურული ტენდერი მწვავე ავარიული საყრდენი კედლების აღდგენა-გამაგრების სამუშაოებზე. ტენდერში გამარჯვებულებთან სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებები გაფორმდა 2005 წლის 8 აგვისტოს:

შპს "ორიენტი"-თან - მაღაროს ქ., რაჭისა და ზიარის ქ. მ/ტ, ილურიძის ქ. N96 მ/ტ, კონდოლის ქ. მ/ტ ; შპს "ამაღლება-98"-თან - ხიზანიშვილის ქ. N42 და N94, გობრონიძის ქ. N1, ზარზმის ქ. N3-

ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით მწვავე ავარიული საცხოვრებელი სახლების აღდგენა-გამაგრების სამუშაოების შესრულებაზე ჩატარებულ ღია ტენდერში გამოვლენილ გამარჯვებულთან სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებები გაფორმდა 2005 წლის 12 აგვისტოს: შპს "ტრესტი N2"-თან -მუხრანის ქ. N1 და N5 ; შპს "საძირკველი-91"-თან - გურამიშვილის ქ. N35; შპს "ტრესტი N13 და კომპანია"-სთან - ბეჟანიშვილის ქ. N21-23, ც.დადიანის ქ. N261 და N323.

სამუშაოების დამთავრების საბოლოო ვადაა 2005 წლის 20 დეკემბერი.

*სატენდერო კომისია*

# შპს "ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგური" განმეორებით აცხადებს

# კ ო ნ კ უ რ ს ს

ქ. ბათუმში, გოგებაშვილის ქუჩა N 5-ში მდებარე ბათუმის ნავსადგურის საზღვაო-სამგზავრო სადგურის შენობის თავისუფალ ფართის (მარცხენა ფრთა და მესამე სართული) იჯარით აღების უფლების მოსაპოვებლად.

**ობიექტის იჯარით გასაცემი საერთო ფართობი შეადგენს 787,18 კვ. მ., საწყისი ყოველთვიური საიჯარო ქირა შეადგენს 4000 ლარს**

| ფართი | ფართობი (მ²) |
|---|---|
| III სართული | 268.11 |
| II სართული | 264.44 |
| I სართული | 254.63 |
| | სულ 787.18 |

**მეიჯარე**: შპს "ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგური".

**კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია:** საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს.

**საკონკურსო პირობები:**

1. მაქსიმალური საიჯარო ქირის გადახდა, მაგრამ არანაკლებ საწყისი საიჯარო ქირისა;
2. საიჯარო ქირის გადახდა ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ყოველთვიურად;
3. იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული ობიექტი განლაგებულია ზღვის სანაპირო ტერიტორიაზე, მოიჯარემ უმოკლეს ვადებში უნდა უზრუნველყოს იჯარით აღებული ფართის კეთილმოწყობა და კაპიტალურ შეკეთება.
4. მოიჯარის მიერ საიჯარო ფართი გამოყენებული უნდა იქნას საზოგადოებრივი კვებისა და გართობის ობიექტების მოსაწყობად.
5. მოიჯარემ საკუთარ თავზე უნდა აიღოს ხარჯები მიმართული საზღვაო - სამგზავრო სადგურის ფასადის და სახურავის კეთილმოწყობაზე, ელექტროენერგიით მომსახურებაზე და საკანალიზაციო და წყალმომარაგების ქსელის გამართვაზე.
6. ობიექტი იჯარით გაიცემა ხუთი წლის ვადით, რაზედაც გაფორმდება სათანადო საიჯარო ხელშეკრულება.
7. იჯარით გაიცემა მხოლოდ შენობა, მიმდებარე ტერიტორის გარეშე.

საკონკურსო პირობების შეუსრულებლობის გამოვლენის შემთხვევაში "მოიჯარე" იღებს გაფრთხილებას წერილობითი სახით, სადაც მიეთითება დარღვევის გამოსწორების აუცილებელი ვადა. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების განმეორებით შეუსრულებლობის შემთხვევა განიხილება ნავსადგურის მიერ ხელშეკრულების ცალმხივად მოშლის საფუძვლად.

**კონკურსში მონაწილეობის მისაღებად მონაწილეებმა ბე-ს სახით უნდა ჩარიცხონ ნავსადგურის ანგარიშზე 3 თვის მინიმალური საიჯარო ღირებულება (12 000 ლარი). კონკურსში დამარცხების შემთხვევაში მოხდება აღნიშნული თანხის უკან დაბრუნება. გამარჯვებულს გადახდილი თანხა ჩაეთვლება შემდგომი ანგარიშწორებისას. გამარჯვების შემდეგ იჯარაზე უარის განცხადების შემთხვევაში არ მოხდება გადახდილი თანხის უკან დაბრუნება.**

**კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საკონკურსო კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:**

a) ბე-ს გახდის დამამტკიცებელი საგადახადო დავალება დამტკიცებული შესაბამისი ბანკის მიერ.

b) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი, რომელშიც სავალდებულოა აისახოს საიჯარო ქონების დასახელება და მოიჯარის თანხმობა გამოცხადებული საკონკურსო პირობების შესრულებაზე.

g) მსურველის მიერ წარმოდგენილი ბიზნეს-გეგმა, მოთავსებული ცალკე კონვერტში, რომელიც ილუქება მის მიერ. ბიზნეს-გეგმაში უნდა იყოს მითითებული შენობის კეთილმოწყობაზე დაგეგმილი დანახარჯების მოცულობა, ინტერიერის მოწყობის ესკიზები, ინფორმაცია სხვა დამატებითი გეგმების შესახებ საიჯარო ფართის გამოყენებასთან დაკავშირებით.

დ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ქსეროასლი (ფიზიკური პირის შემთხვევაში).

ე) ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

ვ) იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან. აგრეთვე, ობიექტის იჯარით აღებისა და კონკურსში მონაწილეობის თაობაზე უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილებას.

შესაბამის ჟურნალში განცხადების რეგისტრაციის მომენტიდან განმცხადებელი იძენს კონკურსში მონაწილის სტატუსს.

**ინფორმაცია კონკურსის ჩატარების შესახებ:**

კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება მიმდინარეობს ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა, 2005 წლის 29 აგვისტოდან 2005 წლის 29 სექტემბრამდე, 10 საათიდან 17 საათამდე (შპს ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგური, ქ. ბათუმი, ქუთაისის ქ. N1, მეორე სართული, იურიდიული განყოფილება). დალუქული კონვერტების გახსნა მოხდება 2005 წლის 30 სექტემბერს 11 საათზე კონკურსში მონაწილეთა თანდასწრებით, რის შემდეგაც კომისია განაგრძობს მუშაობას დახურული წესით გამარჯვებულის გამოსავლენად. მიღებული გადაწყვეტილება ეცნობება გამარჯვებულს 5 დღის ვადაში.

**გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები:**

კონკურსში გამარჯვებულად ცხადდება მონაწილე, რომლის წინადადებები აკმაყოფილებს კონკურსის მოთხოვნებს და ნავსადგურს შესთავაზებს საუკეთესო პირობებს.

**დამატებითი ინფორმაცია:** საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2004 წლის 19 ნოემბრის N1-1/209 ბრძანებით დამტკიცებული "სახელმწიფოს 50% -ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების განკარგვისა და გადაცემის წესის" შესახებ დებულების მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად ობიექტის პრივატიზების შემთხვევაში მყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს იჯარით გაცემის ხელშეკრულება ყოველგვარი კომპენსაციების და ჯარიმის გარეშე.

სხვა დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ მისამართზე: ქ. ბათუმი, ქუთაისის ქ. N1, მეორე სართული. საკონტაქტო პირი კახა აღამანაშვილი. ტელ 76269;

**საბანკო რეკვიზიტები:** სს "თი ბი სი ბანკის" ბათუმის ფილიალი, ბანკის კოდი 220101835 ა/ა 34700347.

შპს "ბათუმის საზღვაო
სავაჭრო ნავსადგური"

# „დიზელი" ამაღლდა

ბოლო ხანს "დიზელი" ენერგიულად ცდილობს, პოპკულტურული სავაჭრო ნიშნის შტამპს დააღწიოს თავი და მაღალ საზოგადოებას შეუერთდეს. ამის დასტურია ისიც, რომ მოდის გასულ სეზონზე "დიზელი" ნიუ იორკის მოდის კვირეულზე გამოჩნდა ორიგინალური კოლექციით. ახლა კი ცნობილი იტალიური ბრენდის ახალი ბუტიკი ასევე ცნობილი ლონდონური სავაჭრო ცენტრის "ჰარვი ნიქოლსის" მესამე სართულზე გაიხსნა, "მიუ მიუს" და მარკ ჯეკობსის ბუტიკების გვერდით. მაღაზიაში "დიზელის" 2005-06 წლების შემოდგომა-ზამთრის კოლექციის



ნაწილი იყიდება. თვითონ კოლექციას კი, ცხადია, მოდის კვირეულზეც გაიტანენ და მოდის მაღალ საზოგადოებაში ადგილს ამითაც დაიმკვიდრებენ.

"დიზელის" შემოდგომა-ზამთრის მოდა კი რამდენიმე საინტერესო დეტალით გამოირჩევა. სამხედრო სტილის პალტოები, ცხვრის ტყავის ჟაკეტები, მომდგარი ჯინსის შარვლები. სიახლეების გარეშე "დიზელი" არც მამაკაცებს ტოვებს. მოდის სახლის დამფუძნებელმა რენცო როსომ მამაკაცების ხაზი მეორე ლონდონურ ცენტრში "სელფრიჯში" გამოფინა.

# ვიპ ბილეთები და ლოპესი

ჩიკაგოში ჯენიფერ ლოპესის პირველი ამერიკული ბუტიკი 22 სექტემბერს გაიხსნება. პრეზენტაციაზე დასასწრები ბილეთები მომღერალმა უკვე დაარიგა, მაგრამ ღონისძიების მეტი პოპულარიზაციისთვის კიდევ ერთ ხერხს მიმართავს. ის აუქციონზე გაყიდის ორ ვიპ ბილეთს და შემოსულ თანხას ქველმოქმედებისთვის გამოიყენებს.

ის იღბლიანი, ვინც ბილეთებს მოიპოვებს, მაღაზიის პრეზენტაციისას დაგეგმილ მოდის ჩვენებასაც დაესწრება და ლოპესის პირადად ნახვის შანსიც ექნება. შვიდდღიან აუქციონზე ასევე გაიტანენ რამდენიმე მოდელს ჯენიფერ ლოპესის კოლექციიდანაც, რომლითაც თებერვალში ნიუ იორკის მოდის კვირეული დაიხურა. ლოპესის ფანებს არჩევანის გაკეთება რამდენიმე ცნობილ მოდელს შორის მოუწევთ, მათ შორის არის ზეთისხილის ფერი პონჩო ქურქის საყელოთი, ყავისფერი ნაქსოვი შარვალი და ზამშის მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი. შემოსულ თანხას ჯენიფერ ლოპესი ლოს ანჯელესის ბავშვთა საავადმყოფოში გადარიცხავს.

"ჯენიფერ ლოპესი პლანეტის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სახეა. ჩვენი აუქციონისთვის მისი გამოჩენა ძალიან დიდი პატივია" - აცხადებს "ოვერსთოქ.ქომ"-ის ვიცე-პრეზიდენტი ჰოლი მაქდონალდ-ქორთი.

შეგახსენებთ, რომ პირველი ბუტიკი ჯენიფერ ლოპესმა მოსკოვში შარშან გახსნა.










შენ სწავლობ სკოლაში და ხარ 11 ან 12 წლის ?
ხარ ჭკვიანი და გამოირჩევი სწრაფი აზროვნებით?
არ გეშინია გამოსცადო შენი ინტელექტუალური შესაძლებლობები?
მაშინ, შენ შეგიძლია გახდე გადაცემა "ყველაზე ჭკვიანის" მონაწილე !

ამისათვის საჭიროა:

შეავსო ანკეტის ფორმა მშობელთან ერთად.

მოგვაწოდო ინფორმაცია შენს შესახებ, იმ შემთხვევაშიც კი თუ საქართველოს ყველაზე შორეულ კუთხეში ცხოვრობ.

ჩვენ ვეძებთ ყველაზე ჭკვიან ბავშვებს !

მონაწილის ანკეტა (შეავსე ყველა გრაფა)

სახელი, გვარი, მამის სახელი ----------

მისამართი ----------

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ----------

დაბადების თარიღი ----------

სკოლა ----------

კლასი ----------

დამატებითი საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ----------

მშობლის ან მეურვის სახელი, გვარი ----------

მშობლის ან მეურვის ხელმოწერა ----------

ყურადღება: კონკურსანტი ბავშვის ასაკი არ უნდა იყოს 2005 წლის 1 სექტემბრისათვის 11 წელზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 12-ს. ანკეტა გამოგზავნეთ მხოლოდ ერთ ეგზემპლარად.

ანკეტა გამოგზავნეთ ფოსტით ან მოგვიტანეთ მისამართზე: სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2", ვაჟა ფშაველას 45, 300077 თბილისი

ბ ლ ა ნ კ ი   უ ფ ა ს ო ა

# ნორჩი არქეოლოგების გასამხნევებლად

## დიპლომატიური თავგადასავალი პირველი ევროპელების სამშობლოში



*"კულტურათა გაცნობა მუზეუმის საგანმანათლებლო პროგრამების გზით", - ამ სახელწოდებით 28 აგვისტოდან დმანისის არქეოლოგიურ გათხრებზე ორკვირიანი ბანაკი შეიქმნა. პროგრამას საქართველოში აშშ-ს საელჩოს ფინანსური დახმარებით საქართველოს ეროვნული მუზეუმი ახორციელებს. პირველი ევროპელების ნასახლარებზე დაბანაკებული ახალგაზრდა არქეოლოგების გასამხნევებლად დმანისს ეროვნული მუზეუმის ხელმძღვანელობასთან ერთად განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, ასევე საქართველოში აშშ-სა და თურქეთის ელჩები ესტუმრნენ.*

ვერა ნეფარიძე

"უღრმესი მადლობა შესანიშნავი თავგადასავლისთვის", - განაცხადა მოგვიანებით საქართველოში შეერთებული შტატების ნომერ პირველმა დიპლომატმა, ახალდანიშნულმა ელჩმა ჯონ ტეფტიმ, რომელიც მთელი დღის განმავლობაში იშვიათი ინტერესით ისმენდა ყველა ლეგენდასა თუ ისტორიულ მონათხრობს საქართველოს შესახებ. თუმცა, ამერიკელი დიპლომატის შეხვედრა საქართველოსთან დმანისში არ დაწყებულა. "არქეოლოგიასთან შეხება მანამდეც მქონია. იერუსალიმსა და რომში ჩემი ელჩობისას საამისოდ საკმარისი მიზეზი მქონდა. საქართველოზე კი ბევრი რამ ჩემი ქართული ენის მასწავლებლისგან შევიტყვე", - მომავალი ელჩი ჩვენი ქვეყნის კულტურული ფასეულობებით განსაკუთრებით, ცხადია, მაშინ დაინტერესდა, როდესაც გაიგო, რომ დიპლომატიური მოღვაწეობა საქართველოში უნდა გაეგრძელებინა. დმანისში სტუმრობა წინა დღეს კრწანისში გამართული წვრთნების შემდეგ ჯონ ტეფტის მორიგი გასვლა იყო ქალაქგარეთ. თუმცა, ამჯერად ელჩის სტუმრობა არაოფიციალური იყო და უშუალოდ მისი ინიციატივით შედგა.

ამერიკელი და თურქი დიპლომატები მეუღლეებთან ერთად დმანისში გასამგზავრებლად ეროვნულ მუზეუმში (ს.ჯანაშიას სახელობის მუზეუმში) შეიკრიბნენ. უშუალოდ არქეოლოგიური გათხრების ადგილის მონახულებამდე სტუმრები მუზეუმის ექსპოზიციებს გაეცნენ. სწორედ აქ ირწმუნა ჯონ ტეფტიმ მითი ოქრომრავალი კოლხეთის შესახებ. ამის შემდეგ დელეგაცია მუზეუმის ხელმძღვანელების, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, ასევე შეერთებული შტატებისა და თურქეთის საელჩოების წარმომადგენლების შემადგენლობით დმანისში გაემგზავრა.

პროექტი - "კულტურათა გაცნობა მუზეუმის საგანმანათლებლო პროგრამების გზით" ამერიკის საელჩომ რიჩარდ მაილსის დროს დაამტკიცა. პროექტი საქართველოს ეროვნული მუზეუმის საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილია, რომლის მიხედვით მუზეუმის ბაზაზე გათვალისწინებულია სკოლის მოსწავლეებისთვის სასწავლო ცენტრის ჩამოყალიბება; დმანისის აქრეოლოგიურ გათხრებზე კი საზაფხულო ბანაკის შექმნა. ბანაკის პირველი ჯგუფი - 15 მოსწავლე თბილისისა და ქვემო ქართლის რეგიონების სკოლებიდან, ამჟამად სოფელ პატარა დმანისში არქეოლოგიური ექსპედიციის ბაზაზე არიან დაბინავებულები. ისინი ეროვნული მუზეუმის კურატორების მიერ საგანგებოდ შედგენილი პროგრამით მუშაობენ. როგორც კურატორებმა გვითხრეს, სწავლებისას გამოიყენება როგორც ინტერაქტიული მეთოდები, ასევე პრაქტიკული საველე სამუშაოები არქეოლოგიაში, ექსკურსიები და სხვადასხვა თამაში. თითო ჯგუფი არქეოლოგიაში "პრაქტიკის" გასავლელად გათხრებზე ხუთი დღე დარჩება.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო
ღრმა სამძიმარს უცხადებს
ქეთევან ბაგრატიონს შვილის

**ჯორჯანა ორსინის**

გარდაცვალების გამო.

ნინია კაკაბაძის სვეტი

# ვინ არის დამნაშავე?!



ფაქტი, რომელიც რამდენიმე დღის წინ მოხდა, ყველასათვის, ეს იქნება შალვა რამიშვილის აქტიური მაყურებელი, პასიური მსმენელი თუ უბრალო მოქალაქე, ბუნებრივია, შემაშფოთებელი და სამწუხარო იყო.

გასაანალიზებელი და დამაფიქრებელი ბევრია.

**1.** ყველაზე შთამბეჭდავი, რასაკვირველია, ის ფაქტია, რომ ტელეკომპანია 202-ის დამფუძნებელი და წამყვანი ფულის დიდ შეკვრას ხელიდან ხელში იღებს და ამის სანაცვლოდ ერთ-ერთი თანამშრომლის სამსახურიდან გათავისუფლებას ჰპირდება მის მომსყიდველს.

**2.** საინტერესო იყო ამ ცხოვრების ამაოებაზე მოსაუბრე უშიშროების მინისტრის, "ამხანაგი" ვანო მერაბიშვილის გამოსვლა, რომელიც ნიცშეს მონოლოგს ჰგავდა (მიკვირს, თვალზე ცრემლმომდგარმა თავისი ხანმოკლე და ემოციური სიტყვა რატომ არ დაასრულა ამ უკვდავი სიტყვებით - "იყიდება საქართველო" ან "ღმერთი მოკვდა"). მინისტრი, რომელსაც ყველაზე მეტად საზოგადოებაში ნიჰილიზმის გაბატონების ეშინია, თავისუფალი მედიის მომავალს უფრთხილდება. მის გამოსვლებში მინდა ერთი ტენდენცია გამოვყო. ის, რაც 27 აგვისტოს მოხდა, სწორედ იმისთვის იყო დაგეგმილი, რომ მოსახლეობას მთლიანად დაეკარგა მედიის მიმართ ნდობა და მისი ნიჰილისტური დამოკიდებულება კიდევ უფრო გამძაფრებულიყო. მერაბიშვილი კი ზურაბ ჟვანიას "უბედური შემთხვევის" არ იყოს, წინასწარ, ვიდრე მაყურებელს საკუთარი დამოკიდებულება ჩამოუყალიბდება და ვიდრე გამოძიება დასრულდება, მიუთითებს რაშია საქმე; საქმე კი ის არის, რომ დღევანდელ ხელისუფლებას დღევანდელ დღეს, ყველაზე მეტად მაყურებლის უნდობლობა სჭირდება მედიის მიმართ.

**3.** მითქმა-მოთქმა კობა ბექაურის კორუმპირებულობაზე, ახალი არ არის. ფილმის შესახებ, რომელიც მის საქმიანობას ეხებოდა, ყველაზე ადრე სწორედ ხელისუფლებამ იცოდა. მისი მოცილება, თუ საერთო "ნათელი საქმიდან" ჩამოცილება, უახლოესი მომავლის გეგმა იყო, მაგრამ დეპუტატის მოცილება არცთუ ისე ადვილია. ყველაზე მარტივია, თუკი მას არა ფილმის შედეგად გაანადგურებდნენ, რომელსაც სტუდია "რეპორტიორი" "202-ის" ეთერში აჩვენებდა, არამედ ამ სახით. რატომ? თუკი ბექაური ფილმს შეეწირებოდა, ამის შედეგად ნდობა მედიის მიმართ გაცილებით გაიზრდებოდა, თავად მედიასაც გაუჩნდებოდა იმის ეჭვი, რომ მისი სიტყვა მართლაც ფასეულია. ამიტომ ამ ქმედებით ხელისუფლებამ ორი კურდღელი ერთად მოკლა - მედია და კორუმპირებული დეპუტატი.

**4.** მაშინ, სად არის ლოგიკა? თუკი ეს ასე არ არის, დავფიქრდეთ, რაში აწყობდა კობა ბექაურს შალვა რამიშვილთან ფარული კამერით მისვლა. მის შესახებ მომზადებული ფილმი არ წარმოადგენს იმ უნიკალურ მასალას, რომელიც საყოველთაო ინტერესს გამოიწვევდა. პირადად მე, შესაძლებელია, არც შემეხედა ამ ფილმისთვის, ვინაიდან, როგორც უკვე აღვნიშნე, ბექაურის კორუფციული ოინები ისედაც ცნობილი იყო. მაგრამ დღეს, როდესაც მე ვხედავ, თუ რა ატყდა ამ მასალის ირგვლივ, რომელიც თურმე 100 ათასი ამერიკული დოლარი ღირს, მე, როგორც საზოგადოების ერთ-ერთი რიგითი წარმომადგენელი, ამ ფილმის ნახვას მოვითხოვ. 100 ათას დოლარად შეფასებული ინფორმაცია გაცილებით საინტერესოა, ვიდრე ერთ-ერთი რიგითი ჟურნალისტური გამოძიების რეპორტაჟი, რომელიც შესაძლებელია, სიტყვიერად გააპროტესტო და რიგით ჟურნალისტურ შანტაჟად მონათლო (ეს ჩვენს ჩინოვნიკებს ეხერხებათ). ეს არცთუ დიდ გამჭრიახობას მოითხოვს და დარწმუნებული ვარ, ასეთი პატარა ლოგიკური აზროვნების უნარი თავად კობა ბექაურსაც გააჩნდა.

**5**. ბექაური ხელისუფლებამ კედელთან მიაყენა; ფილმის გაშვების შემდეგ, ან გნებავთ მანამდე, ის დაისჯებოდა, მაგრამ თუკი ის გავლენიან ჟურნალისტს გაიყოლებდა თან, მისი სასჯელი მკვეთრად შემსუბუქდებოდა. ასეთია გარიგება, რომელიც ხელისუფლებამ კორუმპირებულ დეპუტატთან გააფორმა. დარწმუნებული ვარ, დიდხანს იბრძოლებს ჰუმანისტი მინისტრი ნიჰილიზმის წინააღმდეგ და იდარდებს კიდეც, მაგრამ ეს ერთადერთი ნათელი გამოსავალია ნათელი მომავლისათვის.

**6.** სამწუხაროდ, მიუხედავად იმისა, რომ ეს წინასწარ მოფიქრებული, კარგად დაგეგმილი პროვოკაცია იყო, შალვა რამიშვილი ამ პროვოკაციას წამოეგო და მე გამიჭირდება მის დასაცავად სხვა რამ მოგახსენოთ. სამწუხაროდ, ჟურნალისტი თავის სიჩუმეს არანაირ თანხად არ უნდა ყიდდეს.

**7.** მაგრამ, შალვა რამიშვილზე ნაკლებ ამორალურად "რუსთავი 2-ის" ჟურნალისტები არ გამოიყურებიან. სიუჟეტი, რომელიც 27 აგვისტოს "კურიერში" გავიდა, მათ არსებობაში ალბათ ერთ-ერთი ყველაზე სამარცხვინო რეპორტაჟია: მიუხედავად იმისა, რომ შალვა შანსს არ უშვებდა ხელიდან, გაეკრიტიკებინა "რუსთავი 2", სამაუწყებლო კომპანიას იმ დღეს აქცენტი არ უნდა გაეკეთებინა იმაზე, თუ "როგორი ცუდი ბიჭი იყო ყოველთვის შალვა რამიშვილი, როგორ დაბალ ხელფასებს უხდიდა თანამშრომლებს, როგორ გაექცა მას ყველა მეგობარი, მარტო დარჩა თავის არხზე, მეგობარი აღარ ჰყავდა და სხვადასხვა". ყველაფერი ეს მათ მეგობრებს ვერ ათქმევინეს, გარდა ყოფილი მეგობარი შონზოსი და ამიტომ ყოველივე თავად განაცხადეს.

წაქცეულ ადამიანს წიხლს არ ურტყამენ, ძვირფასო კოლეგებო. შალვა რამიშვილმა კორუფციაში ეჭვმიტანილი დეპუტატისგან საკმაოდ დიდი თანხა აიღო სავარაუდო სიჩუმის სანაცვლოდ (რაც მას არ ამართლებს). თქვენ კი, ძვირფასო ჟურნალისტებო, ხომ ყოველი თვის ბოლოს, ხელფასის აღებისას აკეთებთ იმას, რაც შალვა რამიშვილმა ამ რამდენიმე დღის წინ გააკეთა. მაშინ, როდესაც დამარცხებულ და თუნდაც დამნაშავე კოლეგას წიხლებს ურტყამთ, რატომ არ ფიქრობთ, რომ არც თქვენი საქმიანობა არის მარადიული, შეიძლება თქვენც მალე მოგადგნენ და თქვენმა კოლეგებმა თქვენც დაგარტყან. ხელისუფალნი კი, ეს საუკუნეების გამოცდილებაა, როგორც კი მათი ბერკეტები მკვეთრად გამყარდება, პირველ რიგში ერთგულ მონებს მოიცილებენ. მაშინ კი ხალხი ისე მოგექცევათ, როგორც თქვენ მოექეცით რამიშვილს ორი დღის წინ. ძალიან გთხოვთ, დაფიქრდით და გააანალიზეთ საკუთარი ქმედება, რომელიც გაცილებით მტკივნეულია, უკვე საგრძნობლად შემცირებული თქვენი აუდიტორიისთვის, ვიდრე შალვა რამიშვილის და ბექაურის კორუფციული გარიგება.

**დაბოლოს**. საზოგადოებას ვთხოვ, გავაკეთოთ საკუთარი დასკვნები და ნუ მივენდობით თვალზე ცრემლმორეულ მინისტრს და მის მსახურ ჟურნალისტებს, რომელნიც ტრაგიკულ ტონში გვიამბობენ ამ ცხოვრების ამაოების შესახებ. ქრთამის ამღები, მიმცემი და ამ კორუფციული გარიგების სცენარის შემქმნელნი - ყველანი ერთნაირი დამნაშავეები არიან.